

მუსა ალ-კადიმის ხსოვნისათვის გაღებული მსხვერპლი

A5



ხოდორკოვსკი კენჭს იყრის

A5



მეტიჩარადან ლა სკალამდე

A8

www.24hours.ge

# 24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი | ხუთშაბათი, 1 სექტემბერი, 2005 წელი. №196 (1056) | ფასი 50 თეთრი

## ამბები

"პარიტეტი ყველა დონეზე"



ხელისუფლებამ ოპოზიციას პრაიმერისთვის ისნის საოლქო საარჩევნო კომისიის შენობა არ დაუთმო.

A2

## ამბები

ლატვიელი "პროვაიდერები" საქართველოში



ბალტიის ქვეყნებთან საქართველოს ურთიერთობები სულ უფრო ინტენსიური ხდება. ეს ტენდენცია განსაკუთრებით კარგად იკითხება საპარლამენტთაშორისო კონტაქტების გააქტიურებაში.

A3

## ამბები

სფფ-ს უეფა დაეხმარება



ფინანსურის გარდა, უეფაში შემუშავებული ახალი პროგრამა სხვა სახის დახმარებასაც გულისხმობს.

A6

## ამინდი

| | 1/09 | 2/09 |
|---|---|---|
| თბილისი | 30 | 29 |
| ტყიბული | 28 | 22 |
| სოხუმი | 28 | 25 |
| დმანისი | 25 | 20 |
| გორი | 25 | 21 |
| ონი | 23 | 18 |
| ზუგდიდი | 31 | 26 |
| ახმეტა | 29 | 28 |
| ბაბრა | 26 | 23 |
| სამტრედია | 31 | 25 |

### უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 1.7925 |
| ევრო | 2.1895 |
| ბირვანქა სტერლ. | 3.2002 |
| რუბლი | 0.0628 |

ამბები A 2
ამბები A 3
განცხადებები A 4
უცხოეთი A 5
სპორტი A 6
რევიუ A 7
სხვადასხვა A 8

# გდანსკიდან მინსკამდე

"სოლიდარნოსტი"-ს გზა, საქართველოსა და უკრაინის შემდეგ, ბელარუსზე გაივლის

ნინო გომართელი
*გდანსკიდან*

*ეს ზუსტად 25 წლის წინ, გდანსკში დაიწყო - დამოუკიდებელი პროფკავშირების "სოლიდარნოსტი"-ს შექმნით, დემოკრატიისათვის ბრძოლამ და კომუნისტური რეჟიმის ნგრევამ სტარტი აიღო. გდანსკში გუშინ პოლონური გამათავისუფლებელი მოძრაობის 25 წლისთავთან დაკავშირებით საზეიმო ღონისძიებები გაიმართა, რომელშიც ათამდე ქვეყნის პრეზიდენტები და პრემიერები მონაწილეობდნენ. მათ შორის, საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი და უკრაინის პრეზიდენტი ვიქტორ იუშენკო - ისინი, ვინც "სოლიდარნოსტ"-ის მაგალითმა შთააგონა.*

გაგრძელება A3 გვერდზე



*აღმოსავლეთ ევროპის თავისუფლების სადღეგრძელო.*

# კობა ბექაური პასუხებს პარლამენტს გასცემს, შალვა რამიშვილი - საოლქო სასამართლოს

უკვე გადაწყვეტილია, რომ გამოძიების მხრიდან ტელეკომპანია "202"-ის დამფუძნებლების შალვა რამიშვილის და დავით კოხრეიძის მიერ დაზარალებულად ცნობილი დეპუტატის კობა ბექაურის საკითხზე საპარლამენტო უმრავლესობა 4 სექტემბერს პრეზიდენტის თანდასწრებით იმსჯელებს. რა კითხვებს დაუსვამენ კოლეგები ბექაურს და იქნება თუ არა მისი პასუხები დეპუტატებისთვის სარწმუნო, რამდენიმე დღეში გაირკვევა. წინასწარ კი, პარლამენტარ გიგა ბოკერიას თქმით, კობა ბექაური სრული პოლიტიკური მხარდაჭერით სარგებლობს.

გაგრძელება A3 გვერდზე



ინტერპრესნიუსი ფოტო

*ელენე თევდორაძემ ჟურნალისტებს განუცხადა, რომ შეხვედრა თავად ბრალდებულებმა მოითხოვეს.*

# მარია შარაპოვა: "კორტის ფერს მნიშვნელობა არა აქვს"

*მარია შარაპოვა ნიუ-იორკში პირველი ჩოგნის სტატუსით ჩავიდა, მაგრამ აშშ-ის ღია პირველობა მეორე ნომრის რანგში დაიწყო. შეჯიბრების პირველ წრეში შარაპოვამ საკმაოდ იოლად - 6:1, 6:1 დაამარცხა ბერძენი ელენი დანილიდუ. ის მატჩის შემდეგ ჟურნალისტებს თავის ფიზიკურ ფორმაზე, კორტების ფერსა და საკუთარ სიმაღლეზე ესაუბრა.*

**- მარია, რას ნიშნავდა თქვენთვის მსოფლიოს პირველი ჩოგნის სტატუსი?**

- სიმართლე თუ გინდათ, პირველსა და მეორე ჩოგანს შორის არსებითი სხვაობა არ არის. რა თქმა უნდა, პირველი ჩოგნის სტატუსი ჩემთვის დიდი მიღწევაა. ამისთვის დავიწყე ჩოგბურთის თამაში. თანაც, მოგეხსენებათ, ბევრს არ შეუძლია თქვას, რომ ის მსოფლიოს პირველი ჩოგანი იყო. მე კი შემიძლია შევნიშნო, რომ ეს საოცარი გრძნობაა.

გაგრძელება A6 გვერდზე



*შარაპოვა პირველი ჩოგნის სტატუსის მოსაპოვებლად იბრძვის.*

# დედაქალაქის ავტობუსების მარშრუტების სქემა

უკვე რამდენიმე დღეა, რაც თბილისელებს ახალი თავსატეხი გაუჩნდათ. მერიის ახალმა გადაწყვეტილებამ, მიკროავტობუსებისგან განეტვირთათ ცენტრალური უბნები, მოსახლეობის დაბნეულობა და უკმაყოფილება გამოიწვია. ქალაქის ცენტრში დანიშნული ავტობუსების მარშრუტები და მოძრაობის გრაფიკი მოსახლეობისთვის დღემდე გაურკვეველია.

გაზეთი "24 საათი" გთავაზობთ მერიის ავტოსატრანსპორტო საწარმოს მიერ მოწოდებულ სქემას, რომელიც დედაქალაქში ავტობუსების მოძრაობის მიმართულებასა და მარშრუტებზე მათ რაოდენობას ასახავს.

იხილეთ A4 გვერდზე

# დამოუკიდებელი ეროვნული მარეგულირებელი ორგანოების რეფორმა იწყება

*გუშინ მთავრობის ტრადიციული სხდომა, ტრადიციულად, საკმაოდ გრძელი დღის წესრიგით გამოირჩეოდა. თუმცა, ასევე ტრადიციისამებრ, დახურულ კარს მიღმა სულ რამდენიმე მათგანი გახმოვანდა.*

თამარ ივანიძე

ბიზნესკომპანიების რეგისტრაციას, სექტემბრიდან, სასამართლოს ნაცვლად ფინანსთა სამინისტროს საგადასახადო სამსახური უზრუნველყოფს. როგორც სახელმწიფო მინისტრმა ეკონომიკური რეფორმების საკითხებში კახა ბენდუქიძემ ოთხშაბათს, მთავრობის სხდომის შემდეგ ჟურნალისტებს განუცხადა, საგადასახადო ინსპექციაში გადამხდელის სახელმწიფო და საგადასახადო რეგისტრაციას საგაზაფხულო სესიაზე პარლამენტის მიერ "მეწარმეთა შესახებ კანონში" შეტანილი ცვლილებები ითვალისწინებს. მეწარმეების რეგისტრაციას თბილისში საგადასახადო ინსპექციის 4 განყოფილება მოემსახურება. რეგიონებში რეგისტრირება მოხდება ბათუმში, გორში, ქუთაისში, ფოთში, რუსთავში, თელავსა და ახალციხეში განთავსებულ საგადასახადოს ფილიალებში. ცვლილებების თანახმად, 15-დან 3 დღემდე მცირდება საბუთების მიღების ვადა, ამასთანავე სამეწარმეო რეესტრიდან გამოთხოვილ დოკუმენტაციას ეკონომიკური სუბიექტი, აქამდე განსაზღვრული ერთთვიანი ვადის ნაცვლად, დაუყოვნებლივ მიიღებს.

ამას გარდა, საქართველოში არსებული ხუთი დამოუკიდებელი მარეგულირებელი ორგანოდან უახლოეს მომავალში მხოლოდ ორი დარჩება. მთავრობის მიერ მომზადებულია კანონპროექტი, რომელიც საქართველოს დამოუკიდებელი ეროვნული მარეგულირებელი ორგანოების რეფორმას ითვალისწინებს.

გაგრძელება A3 გვერდზე

# მომავალი წლიდან აფხაზეთში ტურისტებს დააზღვევენ

ზურაბ აფხაზავა
*სოხუმიდან*

აფხაზეთში ძალაში შევიდა პარლამენტის მიერ ამას წინათ მიღებული კანონი "ტურისტული საქმიანობის შესახებ". ამ კანონის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მომენტი აფხაზეთში დამსვენებელი ტურისტების დაზღვევაა. დღემდე, და ამ სეზონზეც, ტურისტები ნებისმიერი უსიამოვნების წინაშე აბსოლუტურად დაუცველნი არიან.

ეს უსიამოვნებები, ძირითადად, დამსვენებელთა პირადი ქონების ქურდობაში გამოიხატება. თანაც, ტურისტების ქონებას როგორც კერძო სექტორში, ასევე დაცულ სასტუმროებშიც იპარავენ. ამ ზაფხულის კრიმინალური ქრონიკა, უმეტესად, ამგვარი ცნობებისგან შედგებოდა: "გაგრაში დამსვენებლებს მოპარეს 4-5 ათასი რუბლი, ორი მობილური ტელეფონი, პასპორტები და უკან გასამგზავრებელი ბილეთები". ასევე, სეზონის განმავლობაში, ტურისტების კუთვნილი ავტოტრანსპორტის გატაცების სამი შემთხვევა დაფიქსირდა. ჯერჯერობით, დამსვენებლები სამართალდამცავი ორგანოების იმედად რჩებიან. ავტოტრანსპორტის შემთხვევაში, მათი მუშაობა წარმატებული გამოდგა. გატაცების ორი საქმე გახსნილია და ტრანსპორტი მფლობელებს დაუბრუნდა. წვრილმანი ქურდობების შემთხვევაში კი, მილიციის მუშაობის ეფექტურობა ნულს უტოლდება.

მომავალი წლიდან ტურისტებს ზარალის ანაზღაურების გარანტიები გაუჩნდებათ. სადაზღვევო კომპანიები, როგორც ადგილობრივი, ასევე რუსული, მუშაობას უკვე წელს დაიწყებენ. როგორც ჩანს, სადაზღვევო ბაზრის ფორმირება აფხაზეთში ტურიზმის განვითარების კონცეფციის ფარგლებში მოექცევა, რომელიც ტურისტული ბაზრის მონაცემებისა და წინადადებების ერთიანი ბაზის შექმნას ითვალისწინებს.

# აფხაზეთის ყოფილი და ამჟამინდელი პრეზიდენტები ერთმანეთს უპირისპირდებიან

მარიამ ჭაჭვაძე

*თვითაღიარებული რესპუბლიკის პრეზიდენტების დაპირისპირების მიზეზი, ამჯერად, შავი ზღვის სანაპიროზე, ოჩამჩირის შელფზე არსებული ნავთობის საბადოები გახდა, რომლის მოპოვების კატეგორიული წინააღმდეგია დე ფაქტო რესპუბლიკის ყოფილი პირველი პირი. ვლადისლავ არძინბა აცხადებს, რომ რეგიონში ნავთობმოპოვებითი სამუშაოების დაწყება საკურორტო სფეროს განვითარებას საფრთხეს შეუქმნის.*

გაგრძელება A3 გვერდზე

## აქცია სასახლეში

დღეს, ჯერ კიდევ მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლეში, სასახლის თანამშრომლები და საკრებულოს ფრაქცია "ახალი მემარჯვენეების" წარმომადგენლები საპროტესტო აქციას გამართავენ. "არ შეიძლება, სასახლეს, სადაც დღეს 7 ათასი ახალგაზრდა სწავლობს და 48 ჯგუფია გახსნილი, საბჭოური გადმონაშთი უწოდო და შენობა წაართვა. თვით ნინო ანანიაშვილმა არ უნდა ჩაიგდოს თავი უხერხულ მდგომარეობაში," - "მემარჯვენეების" ლიდერი გიორგი მოსიძე გუშინდელ პრესკონფერენციაზე გაკეთებული განცხადებების ამგვარ პათოსს დღევანდელ აქციაზე გააგრძელებს. თუმცა, როგორც ქალაქის მერი გიგი უგულავა აცხადებს, სასახლის თანამშრომლებს ვერც საკუთარი პროტესტი უშველით და ვერც ოპოზიციონერთა გვერდით დგომა, სასახლის ბედი უკვე გადაწყვეტილია და მერია მისი ადგილმონაცვლეობის განრიგის შედგენას იწყებს.

*24 საათი*

## გადახალისებული ბიუჯეტი და გადაბარებული პასუხისმგებლობა

*თბილისის მთავრობამ ქალაქის 2005 წლის დასაწყისში მიღებული ბიუჯეტის პერმანენტული ცვლა წლის დამთავრებამდე ოთხი თვით ადრე დაასრულა. გუშინ საკრებულომ 2005 წლის ბიუჯეტის რვა თვის განმავლობაში საკმაოდ სახეცვლილი ვარიანტი დაამტკიცა. ქალაქის მერმა საკრებულოს უმრავლესობას "მკაფიოდ განსაზღვრული" ბიუჯეტის ჩამოყალიბებისთვის მადლობაც კი გადაუხადა. "ბიუჯეტიდან დახავსებული მუხლები ამოვიღეთ," - განაცხადა მერმა. ასეთ მუხლში კი 5 კოოპერატიული ბინის მშენებლობისთვის გამოყოფილი 3 მილიონი ლარიც იგულისხმება.*

ნანა ქადაგიშვილი

ქალაქის წლევანდელ ბიუჯეტში ძირფესვიანი ცვლილება, ბიუჯეტის ზრდასთან ერთად, მერიის სამსახურების რეორგანიზაციამაც განაპირობა. მაგალითად, ქალაქის სანიტარიული ზედამხედველობის, ადმინისტრაციული და არქიტექტურული მშენებლობის ინსპექციების გაერთიანების შედეგად ერთი, ზედამხედველობის საქალაქო სამსახური ჩამოყალიბდა და ბიუჯეტიდან 424 ათასი ლარი გამოეყო. ახლად შექმნილი მუნიციპალური შესყიდვების სამსახური კი 100 ათასი ლარით დაფინანსდა.

სახეუცვლელი სამსახურების ნაწილისთვის ბიუჯეტში შეტანილი ცვლილება სასიკეთო აღმოჩნდა, მათი დაფინანსება გაიზარდა. ტრანსპორტის საქალაქო სამსახურს, ავტობუსების მგზავრთა დოტაციისთვის, 2 მილიონ 880 ათასი ლარი დაემატა. ქალაქის საკრებულოსა და მთავრობის ხარჯები 1 მილიონ 280 ათასი ლარით გაიზარდა და სულ 8 მილიონ 133 ათასი ლარი გახდა. კეთილმოწყობის საქალაქო სამსახურს კი ყველაზე მეტი თანხა, 9 მილიონ 347 ათასი ლარი დაემატა. ეს თანხა, როგორც წესი, ქალაქის ფასადებისა და გზების შეკეთებას მოხმარდება.

პრიორიტეტების დაფინანსების ზრდას ყველაზე "დაბალი ღობის" - კოოპერატიული ბინების მშენებლობისთვის გათვალისწინებული 3 მილიონი ლარი შეეწირა. 2005 წლის დასაწყისში კოოპერატიული ბინათმშენებლობების წევრთა კომპენსაციისთვის გათვალისწინებული თანხები თავდაცვის ობიექტების სარემონტო სამუშაოებს გადაულოცეს, ახლა კი 5 კოოპერატიული კორპუსის მშენებლობისთვის გამოყოფილი სამი მილიონი ლარიც ჩამოჭრეს. არადა, ორი კორპუსის (ნუცუბიძის პლატო, მეოთხე მიკრორაიონი, კორპ. №35 და დიდი დიღომი, მეოთხე მიკრორაიონი, კორპ.№22) მშენებლობაზე აგვისტოს დასაწყისში ტენდერი უკვე გამოცხადდა და სამშენებლო სამუშაოების ნაწილიც შესრულებულია.

ქალაქის ხელმძღვანელობა აცხადებს, რომ კოოპერატიული ბინათმშენებლობის წევრთა ვალს ცენტრალური ხელისუფლება გადაიხდის. სხვათა შორის, ამ შიდა ვალის გადახდას ცენტრალური და ქალაქის ხელისუფლება წლების განმავლობაში ერთმანეთს აბარებს, საბოლოოდ კი, როგორც ჩანს, მის გადახდას არც ერთი აპირებს და არც მეორე.

უკვე ორი თვეა, არსებობს პარლამენტის დადგენილება (2005 წლის 1 ივლისი, №I-879-რს), რომელიც საქართველოს მთავრობას ავალებს, დროულად მოამზადოს და პრეზიდენტს დასამტკიცებლად წარუდგინოს განაწილებული სახელმწიფო საპრივატიზაციო ქონების (შენობა-ნაგებობები, მიწის ნაკვეთები) კოოპერატიული ბინათმშენებლობების წევრთათვის გადაცემის შესახებ კონკრეტული პროექტები. ეს ის სახელმწიფო ქონებაა (იაშვილისა და ჩაიკოვსკის ქუჩების გადაკვეთაზე მდებარე სასტუმროს დაუმთავრებელი შენობა, მეცნიერებათა აკადემიის კუთვნილი დაუმთავრებელი შენობა, ნაკადულის ქუჩაზე მდებარე საავიაციო ქარხნის ყოფილი საამქრო და ვაშლიჯვარში ერთი მშენებარე შენობა), ზუსტად ერთი წლის წინ, ეკონომიკური განვითარების ყოფილმა მინისტრმა კახა ბენდუქიძემ კოოპერატიული ბინათმშენებლობის წევრებს რომ გადასცა. როგორც მაშინ, ეკონომიკის განვითარების სამინისტროში განაცხადეს, მათთვის მიწის ფართის გადასაცემად საჭირო ყველა დოკუმენტი მაშინვე მომზადდა და კანცელარიას გადაეგზავნა.

თუმცა, ერთი წელია, კოოპერატივის წევრები პრეზიდენტის შესაბამისი ნორმატიული აქტის გამოსვლას ამაოდ ელიან. ამ საქმის დაჩქარებას ვერც პარლამენტის ზემოაღნიშნულმა დადგენილებამ შეუწყო ხელი. როგორც ფინანსთა სამინისტროში განმარტავენ, კოოპერატიული ბინათმშენებლობის წევრთა მიმართ დავალიანების ზუსტი ოდენობა ჯერ არ დადგენილა (წევრთა რაოდენობის ხელახალი ინვენტარიზაცია პირველ ივლისის დასრულდა), რადგან ვალის გამოთვლის მექანიზმი არ არსებობს და, შესაბამისად, პარლამენტის პირველ ივლისს მიღებული დადგენილებაც ვერ სრულდება.

## ექსპერტები ბენზინის ფასის გაზრდას ვარაუდობენ

*მსოფლიოში ნავთობის ფასის რეკორდულმა მატებამ ასახვა ქართულ ნავთობ-ბაზარზეც ჰპოვა. მხოლოდ ბოლო ერთი თვის განმავლობაში ბენზინის საწვავი 7-8 თეთრით გაძვირდა. ბენზინის ფასები ორ-სამ დღეში კიდევ 15-20 თეთრით გაიზრდება, - აცხადებენ ექსპერტები.*

ქართველი ექსპერტები ნავთობპროდუქტების მკვეთრ გაძვირებას სხვადასხვაგვარ ახსნას უძებნიან. ნავთობპროდუქტების იმპორტიორთა ასოციაციის პრეზიდენტის გიორგი კოტრიკაძის განცხადებით, საქართველოში ნავთობპროდუქტებზე ფასების მომატება საერთაშორისო ბაზრებზე მიმდინარე პროცესების გამოძახილია. მისივე თქმით, საქართველოში ნავთობპროდუქტების 95 პროცენტი იმპორტირებულია, ამიტომ საერთაშორისო ბაზრებზე მიმდინარე პროცესები საქართველოზეც აისახება.

აქვე, კოტრიკაძემ უარყო გავრცელებული ინფორმაცია 2006 წლიდან ერთი ლიტრი ბენზინის ფასის 2 ლარამდე გაზრდის შესახებ. **"ამგვარ პროგნოზს საქმეში ჩაუხედავი პირი თუ გააკეთებს, რადგან ამას სპეციალური ანალიზი სჭირდება. ეს კი იმან უნდა გააკეთოს, ვინც ფასების რეგულირების მექანიზმი იცის,"** - განაცხადა კოტრიკაძემ.

იმპორტიორთა ასოციაციის პრეზიდენტი ნავთობპროდუქტების იმპორტიორთა მხრიდან საქართველოს ბაზარზე დეფიციტის ხელოვნურად შექმნის შესაძლებლობას გამორიცხავს და ამბობს, რომ მსხვილი კომპანიების მხრიდან ამგვარი რამ გამორიცხულია.

თუმცა, ექსპერტთა ნაწილი ვარაუდობს, რომ მსოფლიო სანავთობო ბაზარი ჩვენს შემთხვევაში არაფერ შუაშია და ყველაფერში ის იმპორტიორები არიან დამნაშავენი, რომელთაც სანავთობო ბიზნესი აქვთ მონოპოლიზებული და ფასებით მანიპულირებაც თავისუფლად შეუძლიათ.

დამოუკიდებელ ექსპერტ სოსო ცისკარიშვილს მიაჩნია, რომ საქმე სპეკულაციურ პროცესებთან გვაქვს. როცა მსოფლიოში ნავთობის ფასი იწევს, საქართველოში ეს ბენზინის ფასზე არ უნდა მოქმედებდეს, იმიტომ, რომ ნედლი ნავთობის წილი ბენზინის ღირებულებაში უმნიშვნელო - თითქმის ნახევარზე ნაკლებია. ამიტომ, ხელისუფლებამ უნდა გაარკვიოს, რატომ იმატებს მაინცდამაინც ბენზინის ფასი. ცისკარიშვილი აცხადებს, რომ ნავთობის ფასი ნახევარ წელიწადში კიდევ უფრო გაიზრდება. **"თუ არ გაკეთდა სერიოზული ანალიზი, არ დაწესდა კონტროლი და არ დადგინდა სახელმწიფო ზღვრული ფასები, შესაძლოა, ფინანსური კატასტროფა მოხდეს,"** - აცხადებს ექსპერტი.

ამდენად, ექსპერტთა ნაწილი იმპორტიორებისკენ იშვერს ხელს, იმპორტიორები კი - საბაჟოსკენ, სადაც, მათი თქმით, შეძენილი ნავთობპროდუქტების დატაცება ხდება. ბოლო პერიოდში იმპორტიორების მიერ აზერბაიჯანიდან ტრანსპორტირებული საწვავით სავსე ვაგონები ინტენსიურად იძარცვება. მარტო ერთი კვირის განმავლობაში იმპორტიორებმა დაახლოებით ასი ათასი ლარი იზარალეს. ამ დანაკლისის ანაზღაურებას კი ისინი საწვავის გაძვირების ხარჯზე ახდენენ.

დღეს, ბენზინგასამართი სადგურებიდან მძღოლებს საწვავს ბიდონებით აღარ ატანენ, რადგან საწვავზე ფასების გაზრდაა მოსალოდნელი, თუმცა როგორც გიორგი კოტრიკაძე განმარტავს, არსებობს სპეციალური ნორმატიული დოკუმენტი ბენზინგასამართი სადგურიდან ბიდონებით 40 ლიტრზე მეტი ბენზინის გატანის აკრძალვის შესახებ.

როგორც ექსპერტები ამბობენ, თუ სეზონურ ფაქტორს გავითვალისწინებთ, სექტემბრიდან საწვავის გაიაფებაა მოსალოდნელი. მაგრამ თუკი ფასები ხელოვნურად იზრდება, მაშინ ამ ფაქტორის ზემოქმედება ნაკლებად დამაჯერებელია, - აცხადებენ ისინი. ანუ პროგნოზი არცთუ სახარბიელოა და მსოფლიო ბაზარზე ნავთობის ფასის პერმანენტული ზრდა, გვინდა თუ არა, საქართველოშიც პოვებს ასახვას.

*24 საათი*

## "პარიტეტი ყველა დონეზე"

### ოპოზიცია არ ივიწყებს იმ იდეას, რომელიც "სააკაშვილმა კანალიზაციას გაატანა"

**"მინდა ვუთხრა ქართულ საზოგადოებას, ოპოზიციური პარტიები ასრულებენ იმ დანაპირებს, რომელიც ბეიკერს მისცეს. მხედველობაში გვაქვს ცესკო-ს დაკომპლექტება პარიტეტულ საწყისებზე. გახსოვთ, როგორ უჭერდა მხარს ამ იდეას მაშინ მიხეილ სააკაშვილი. ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ მან ეს იდეა კანალიზაციას გაატანა,"** - განაცხადა ცენტრალური წინასაარჩევნო კომისიის გუშინდელ პრესკონფერენციაზე "ლეიბორისტმა" პაატა ჯიბლაძემ. ოპოზიცია სიამაყით აცხადებს, რომ პრაიმერს ყველა დონეზე პარიტეტული პრინციპების სრული დაცვით ჩაატარებს.



ოპოზიცია აცხადებს, რომ ხელისუფლება ანტიპრაიმერულ კამპანიას ატარებს.

ლევან ხერხეულიძის ფოტო

ოპოზიცია აცხადებს, რომ ხელისუფლება ანტიპრაიმერულ კამპანიას ატარებს. ისანში დეპუტატობის კანდიდატის, კონსერვატიული პარტიის წარმომადგენლის, მერაბ კაჭახიძის თქმით, დღევანდელი ხელისუფლება იმავე მეთოდებით ებრძვის ოპოზიციას, რა მეთოდებსაც შევარდნაძის ხელისუფლება იყენებდა.

როგორც "მემარჯვენე" გიორგი მოსიძემ ჟურნალისტებს განუცხადა, უშიშროების მინისტრის ყოფილი მოადგილე, ამჟამად დეპუტატობის კანდიდატი ბიძინა ბრეგაძე წინასაარჩევნო კამპანიას პოლიციური მეთოდებით აწარმოებს. მოსიძის აზრით, ბრეგაძის მეთოდები, იქნება ეს **"პასპორტებით მანიპულაცია თუ ხალხის დაშინება,"** ვერანაირ შედეგს ვერ გამოიღებს.

17 სექტემბრის წინასწარ არჩევნებზე ხელისუფლების მხრიდან მოსალოდნელ პროვოკაციებზე საუბრისას გიორგი მოსიძემ განაცხადა, რომ **"დღეს საქართველოს მართავს კოლექტიური შევარდნაძე, სააკაშვილის მეთაურობით."**

ოპოზიციის ცენტრალური წინასაარჩევნო კომისიის გუშინდელ პრესკონფერენციაზე კიდევ ერთხელ აღნიშნეს, რომ ხელისუფლებამ ოპოზიციას პრაიმერისთვის ისნის საოლქო საარჩევნო კომისიის შენობა არ დაუთმო.

*24 საათი*

## გსექ-ი დახმარებას სამართალდამცველებს სთხოვს

"საქართველოს გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანიის" (სგსე) ქვემო ქართლის ფილიალის ადმინისტრაცია უკიდურეს აღშფოთებას გამოთქვამს სოფელ ვარკეთილში ურჩ გადამხდელთა ქმედებებთან დაკავშირებით და სამართალდამცავებს მაქსიმალურად აქტიური მხარდაჭერისკენ მოუწოდებს.

ქვემო ქართლის ფილიალის დირექტორის, ირაკლი ელაშვილის განცხადებით, აღნიშნული სოფლის მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილის თვითნებობამ და ზღვარგასულობამ ყველანაირ მოლოდინს გადააჭარბა. მისი თქმით, ამ ეტაპზე, ადგილობრივი მცხოვრებლების უპრეცედენტო კანონდარღვევათა აღკვეთა, როგორც პოლიციის, ასევე თვითმმართველობის ორგანოთა ხელმძღვანელობის მხრიდან, რადიკალური ხასიათის სანქციებს საჭიროებს.

ელაშვილის განმარტებით, სოფელს 4 ტრანსფორმარტორი ემსახურება, რომლებზეც კომუნალური მრიცხველების დამონტაჟების დღიდან დარიცხული მოხმარებული ელ.ენერგიის საფასური დაახლოებით 25 000 ლარს შეადგენს, საიდანაც მხოლოდ 9000 ლარამდეა გასტუმრებული.

მოსახლეობის მხრიდან საკმაოდ ხშირია მიმდინარე დავალიანების გადაუხდელობის გამო კომპანიის თანამშრომელთა მიერ გათიშული ტრანსფორმატორების თვითნებური ჩართვის ფაქტები.

სწორედ ამიტომ, ფილიალის ადმინისტრაცია დაახლოებით ორი თვის წინ იძულებული გახდა, ერთ-ერთი ტრანსფორმატორის დემონტაჟი განეხორციელებინა, ხოლო დანარჩენი სამი გადამცემი ხაზიდან ჩაეხსნა, ვინაიდან მოსახლეობის განსაკუთრებული აგრესიულობით გამორჩეულმა წინააღმდეგობამ სგსე-ს თანამშრომლებს ტრანსფორმატორების გათიშვის საშუალება არ მისცა, - აღნიშნა მან.

მოგვიანებით, ვარკეთილის მოსახლეობამ საქართველოს ენერგეტიკის მარეგულირებელ ეროვნულ კომისიას (სემეკ) საჩივრით მიმართა.

სემეკ-თან შეთანხმების საფუძველზე მოხსნილი ტრანსფორმატორი, რომელიც ფილიალის ტერიტორიაზე იყო დასაწყობებული, უნდა დაბრუნებულიყო, ხოლო დანარჩენი 3 - ჩართულიყო. თავის მხრივ, მოსახლეობას 1 კვირაში დავალიანების 70 პროცენტი უნდა დაეფარა, ხოლო დარჩენილი 30 პროცენტი ორ თვეზე უნდა გადაენაწილებინათ.

სგსე-ს ქვემო ქართლის ფილიალის ხელმძღვანელობამ ნაკისრი ვალდებულებები შეასრულა - წაღებული ტრანსფორმატორი დაამონტაჟა, მოსახლეობას კი, ერთკვირიანი ვადის ნაცვლად, დავალიანების გასასტუმრებლად 2 კვირა მისცა. თუმცა, უშედეგოდ. ვალის მხოლოდ დაახლოებით 33 პროცენტი დაიფარა, - დასძინა ელაშვილმა.

საპასუხოდ, ფილიალის თელეთ-მარტყოფის მომსახურების ცენტრის თანამშრომლებმა ერთი ტრანსფორმატორი გათიშეს, თუმცა ადგილობრივმა მცხოვრებლებმა იგი მეორე დღესვე თვითნებურად აამოქმედეს. ორი ტრანსფორმატორის გასათიშად კი მოსახლეობამ სერვის-ცენტრის წარმომადგენლები არ მიუშვა.

ამის შესახებ ეცნობა გარდაბნის რაიონის გამგებელს. მისი თხოვნით, ენერგოკომპანიამ სოფელ ვარკეთილის მოსახლეობას მიმდინარე დავალიანების დასაფარად კიდევ გარკვეული პერიოდი შესთავაზა, რაც კვლავ უშედეგოდ დასრულდა.

ელაშვილის განცხადებით, ქვემო ქართლის ფილიალი არ შეეგუება და, უფრო მეტიც, უმკაცრეს ღონისძიებებს გაატარებს ურჩგადამხდელთა მიმართ, რაც შესაძლოა, კანონდამრღვევთა სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობითაც დასრულდეს.

სგსე-ს მოთხოვნაა, რომ სოფელ ვარკეთილის ურჩგადამხდელების ელ.ენერგიით შეზღუდვა ადგილობრივი პოლიციის თანხლებით მოხდეს, რათა მოსახლეობასთან მორიგი დაპირისპირება თავიდან იქნეს აცილებული.

*24 საათი*

## დავა სტატისტიკის გარშემო

### პროფკავშირების წევრთა აღრიცხვა დაპირისპირებულ მხარეთა იარაღად იქცა

*გაერთიანებული პროფკავშირების თავმჯდომარის თანამდებობაზე არჩევნები 23 სექტემბერს ჩატარდება. რიგგარეშე არჩევნების ჩატარება იმ კონფლიქტის შემდეგ გადაწყდა, რომელიც მაისში, გაერთიანებული პროფკავშირების თავმჯდომარეს ირაკლი ტუღუშსა და პროფკავშირების ოცამდე წარმომადგენელს შორის წარმოიქმნა. ტუღუშის მოადგილე ლონდა სიხარულიძე ყრილობის ჩატარების წინააღმდეგია. იგი მიიჩნევს, რომ თუკი ერთხელ დაირღვა წესდება, მაშინ იგივე წარმატებით შეიძლება ყოველ ექვს თვეში შეაგროვონ ხელმოწერები და მოითხოვონ ყრილობის ჩატარება. მისივე თქმით, მხოლოდ ერთი დარგის მესამედში ჩატარებული მორიტორინგის თანახმად, სტატისტიკური ანგარიშით წარმოდგენილ წევრთა რაოდენობასა და რეალურ მონაცემებს შორის სხვაობამ 10 606 შეადგინა. გაერთიანებულ პროფკავშირებში აცხადებენ, რომ დარგობრივი პროფკავშირების თავმჯდომარეები წევრთა რაოდენობას ხელოვნურად ზრდიან. ამის უკან კი ისინი ტუღუშის მთავარი ოპონენტის, მომსახურების სფეროს პროფკავშირების თავმჯდომარის ირაკლი პეტრიაშვილის ინტერესებს ხედავენ, რასაც პეტრიაშვილი კატეგორიულად უარყოფს.*

თამარ დვალი

**"რეალურად, ჩვენი ქვეყნის ეკონომიკაში აღარ არსებობს მრავალი დარგი, მაგრამ სამწუხაროდ, არსებობს ამ დარგის პროფკავშირები. თუ დარგი არ არსებობს, შესაბამისად, არც პროფესიულ კავშირს ეყოლება პარტნიორი, ვისთანაც ის კოლექტიურ ხელშეკრულებას გააფორმებს. ასეთ შემთხვევაში, მისი ლიკვიდაცია გარდაუვალია. რეორგანიზაციის შედეგად მონათესავე დარგების შეერთება უნდა მომხდარიყო. როგორც კი ამ ცვლილებებზე დაიწყო საუბარი, მაშინვე გაჩნდა პრობლემა, თუ ვინ გახდებოდა პირველი კაცი. ფაქტობრივად, არც ერთმა დარგობრივმა ორგანიზაციამ არ მოინდომა სხვასთან გაერთიანება,"** - განაცხადა "24 საათთან" საუბრისას გაერთიანებული პროფკავშირების თავმჯდომარის მოადგილემ ლონდა სიხარულიძემ. იგი მიიჩნევს, რომ სწორედ ამ გადაწყვეტილების გამო დაუპირისპირდნენ მათ დარგის თავმჯდომარეები, რომელთა უკანაც პეტრიაშვილი დგას. მისივე თქმით, ერთ-ერთ პროფესიულ კავშირში, კერძოდ, სოფლის მეურნეობის დარგში შემავალი 14 ორგანიზაციიდან შვიდში ჩატარდა მონიტორინგი, რამაც დაადასტურა, რომ სტატისტიკური ანგარიშით წარმოდგენილ წევრთა რაოდენობა გაზრდილია.

**"აღსანიშნავია, რომ ზოგიერთ დარგობრივ კავშირს ყოფილი რაიკომის პირველი მდივნები ხელმძღვანელობენ. ასეთია სოფლის მეურნეობის დარგის ხელმძღვანელი რობერტ ურჯუმელაშვილი. სრული აბსურდია, რასაც ის ამტკიცებს, თითქოს მას 45 ათასი წევრი ჰყავს. სტატისტიკა რომ გაყალბებულია, ამას მცხეთის მაგალითიც გვიჩვენებს. როგორც მცხეთის სოფლის მეურნეობის პროფკავშირების რაიკომის თავმჯდომარე აცხადებს, უკვე რამდენიმე წელიწადია, რაც მასთან საწევრო არის ნული, თუმცა ამ ქალბატონს დელეგატად მაინც იძახებენ. ანალოგიურია სხვა რეგიონებშიც,"** - აღნიშნა სიხარულიძემ. როგორც გაერთიანებულ პროფკავშირებში აცხადებენ, იმის გამო, რომ დარგის თავმჯდომარეებს საწევრო შემოსავალი არ აქვთ, ისინი მათ ხელთ არსებულ ქონებას ყიდიან, ან მხოლოდ საარენდო შემოსავლებით ცხოვრობენ. მათივე ინფორმაციით, სოფლის მეურნეობის პროფკავშირმა ჩხოროწყუსა და სხვა რაიონში განთავსებული, ყოფილი პიონერთა ბანაკები გაასხვისა.

**"არც ერთი ობიექტი არ გაგვიყიდია და არც ვაპირებთ. სტატისტიკაში მართლაც გვქონდა ცდომილება, მაგრამ ეს გამოწვეული იყო იმით, რომ ჩვენს დაქვემდებარებაში მყოფი ინსტიტუტის სტუდენტებიც პროფკავშირებში გაერთიანებული გვყავდა. როდესაც ისინი სიიდან ამოვიღეთ, 45 ათასი წევრიდან 40 ათას სამი წევრი დარჩა. მე არ ვმალავ და ვაღიარებ, რომ ოპოზიციაში ვარ. ალბათ, ხმებს ჩემს წინააღმდეგ ამიტომაც ავრცელებენ,"** - აღნიშნა სოფლის მეურნეობის პროფკავშირის თავმჯდომარემ რობერტ ურჯუმელაშვილმა.

სიხარულიძის თქმით, დარგის თავმჯდომარეებსა და პეტრიაშვილს შორის არსებობს ფარული გარიგება, რომლის თანახმადაც, თუკი დარგის თავმჯდომარეები პეტრიაშვილს დაუჭერენ მხარს, ამის სანაცვლოდ ისინი სტატუსს შეინარჩუნებენ. ურჯუმელაშვილი აღნიშნულ ფაქტს უარყოფს და აცხადებს, რომ პეტრიაშვილთან არანაირი საუბარი არ ჰქონია. იგივეს ადასტურებს პეტრიაშვილიც.

**"აბსურდია, თითქოს მხარდაჭერის სანაცვლოდ, მე ვინმეს სტატუსის შენარჩუნებას ვპირდებოდე. საამისოდ არანაირი ბერკეტი არ გამაჩნია. ტუღუშის მომხრეები დღეს რომ აცხადებენ, თითქოს სტატისტიკაა გაზრდილი, მაინტერესებს, ნოემბერში, ტუღუშის არჩევის დროს იგივე სტატისტიკა არ იყო?"** - კითხულობს ირაკლი ტუღუშის ოპონენტი.

იგი დარგის თავმჯდომარეებთან ყოველგვარ გარიგებას უარყოფს და აცხადებს, რომ მისი სათავეში მოსვლის შემთხვევაში, დარგის თავმჯდომარეები მისგან ვერანაირ გარანტიებს ვერ მიიღებენ. თუმცა, როგორც გაერთიანებაში აცხადებენ, პეტრიაშვილი ესწრება ყველა იმ შეკრებას (საბჭო, ყრილობა), რომელსაც ე.წ ოპოზიციური მხარე ატარებს და წინააღმდეგია, რომ ამ თავყრილობებს გაერთიანების თავმჯდომარე დაესწროს. ლონდა სიხარულიძის განცხადებით, თუკი წინა ყრილობის დროს სტატისტიკა იყო მცდარი, ამის შესახებ რეაგირება მაშინდელ საორგანიზაციოს კურატორს, ანუ პეტრიაშვილს უნდა მოეხდინა. ვინაიდან დღეს საორგანიზაციოს კურატორი თავად არის, დარღვევებზე ამიტომაც საუბრობს.

დღეისათვის, გაერთიანებული პროფკავშირებს ქონება თითქმის აღარ აქვს. ცოტა ხანში მათ იმ შენობის დაცლაც მოუწევთ, სადაც ამჟამად არიან განთავსებულნი. ხელშეკრულების თანახმად, შრომის სასახლე თბილისის მერიის საკუთრებაში გადადის. ეკონომიკის სამინისტრო ვალდებულებას იღებს გაერთიანებულ პროფკავშირებს ალტერნატიული შენობა შესთავაზოს.

ამჟამად პროფესიული კავშირის საკუთრებაში რჩება დედათა და ბავშვთა გამაჯანსაღებელი ობიექტი კეჩხობში, საირმის ერთი კორპუსი და ქობულეთში არსებული პოლიკლინიკის შენობა.

## ოსური მხარე სასაზღვრო ზონის ოფიციალურად დაფიქსირებას აპირებს

სამხრეთ ოსეთის დე ფაქტო ხელისუფლების გადაწყვეტილებით, გორი-ცხინვალის ავტომაგისტრალზე ოსური მხარის ე.წ. საიმიგრაციო საგუშაგოსთან ოფიციალურად დაფიქსირდება სასაზღვრო ზონა. ამ ზონის დაფიქსირება მოხდება გრანდიოზული ზომის რკინის ჭიშკრით, რომელიც სწორედ საიმიგრაციო საგუშაგოს მიმდებარე ტერიტორიაზე დამონტაჟდება.

კულუარული ინფორმაციით ცნობილი გახდა, რომ სამშვიდობო ძალების სარდალი, გენერალი კულახმეტოვი აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით სამხრეთ ოსეთის დე ფაქტო განსაკუთრებულ საქმეთა მინისტრს ბორის ჩოჩიევს შეხვდა და ამ საკითხზე ესაუბრა. მისი განცხადებით, სამშვიდობოები ქართულ და ოსურ მხარეებს შორის სასაზღვრო საგუშაგოს გახსნას არ დაუშვებენ.

"ოსურ მხარეს ჩემთან ეს საკითხი არ დაუყენებია. ეს საკითხი კიდეც რომ დაესვათ, გარწმუნებთ, სამშვიდობოები ე.წ. ნეიტრალურ ზონაში ოსური სასაზღვრო ზონის შექმნას ჩვენ არ დაუშვებთ," - განაცხადა გენერალ-მაიორმა მარატ კულახმეტოვმა.

გავრცელებულ ინფორმაციას ასევე უარყოფს ცხინვალის ხელისუფლების განსაკუთრებულ საქმეთა მინისტრი ბორის ჩოჩიევი, რომლის თქმით, მიუხედავად იმისა, რომ "სასაზღვრო საკითხები" მისი კომპეტენცია არ არის, "ოსურ მხარეს სამშვიდობოებთან ამგვარი წინადადება არ დაუყენებია."

კონფლიქტების დარეგულირების საკითხში სახელმწიფო მინისტრის მოადგილის გიორგი ვოლსკის თქმით, საქართველოს ხელისუფლებისთვის ცნობილი გახდა, რომ ოსურმა მხარემ ერგნეთის საკონტროლო-გამშვები პუნქტის წინ სამხედრო ნაგებობების მშენებლობა დაიწყო. თუმცა, მისივე განცხადებით, საქმეში დროულად, კონსტრუქციულად ჩაერია სამშვიდობო მისია, ასევე რუსეთის საელჩო, ეუთო-ს მისია, და ეს მშენებლობა შეჩერებულია.

როგორც გიორგი ვოლსკიმ აღნიშნა, ქართული მხარე ამ ინციდენტს ასე არ დატოვებს და შერეულ საკონტროლო კომისიაში საკითხს მკაცრად დააყენებს. ვოლსკის განცხადებით, სავარაუდოდ, მომავალ კვირას გახდება ცნობილი, თუ როდის გაიმართება შერეული საკონტროლო კომისიის სხდომა.

*ინტერპრესნიუსი*

## ორი სიტყვით

**თბილისი.** სამხრეთ ოსეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის პრეზიდენტმა ედუარდ კოკოითმა საქართველოს მოუწოდა, პასუხისმგებლობა იკისროს ოსი ხალხის გენოციდისთვის და უარი თქვას ნაციონალურ იდეოლოგიაზე. მისი თქმით, ეს ოსურ-ქართული კონფლიქტის მოგვარების ერთ-ერთი ძირითადი პირობაა. შეეხო რა საქართველოს პრემიერ-მინისტრთან ზურაბ ნოღაიდელთან მისი შეხვედრის შესაძლებლობას, კოკოითმა აღნიშნა, რომ ეს შეხვედრა მხოლოდ იმ შემთხვევაშია შესაძლებელი, თუ მას პრაქტიკული შედეგები მოჰყვება. **ინტერპრესნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** რუსმა მესაზღვრეებმა საქართველოს სამი მოქალაქე დააკავეს, რომლებიც ყალბი პასპორტებით რუსეთ-საქართველოს საზღვრის გადაკვეთას ცდილობდნენ. ისინი "ქვემო ზარამაგის" სასაზღვრო გამშვებ პუნქტში "მოსკოვი-თბილისის" სარეისო ავტობუსით მივიდნენ. როგორც რუსული სააგენტოები რუსეთის უშიშროების ფედერალური სამსახურის ჩრდილოეთ კავკასიის სასაზღვრო სამმართველოს პრესსამსახურზე დაყრდნობით იუწყებიან, დამრღვევებმა მესაზღვრეებს აშკარად ყალბი საბუთები წარუდგინეს. მესაზღვრეთა რაზმის უფროსის გადაწყვეტილებით, საქართველოს სამივე მოქალაქე დაკავებულია 48 საათით. **ინტერპრესნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** ადამიანის უფლებათა დაცვის საპარლამენტო კომიტეტის თავმჯდომარე ელენე თევდორაძე 4 სექტემბერს დაგეგმილ უმრავლესობის სხდომაზე სახელისუფლებო ფრაქციის დატოვებას არ აპირებს. როგორც მან განაცხადა, თუ საპარლამენტო უმრავლესობა ფრაქციიდან მის გარიცხვას გადაწყვეტს, მაშინ მათ მიზეზების ახსნაც მოუწევთ. დეპუტატის თქმით, საპარლამენტო უმრავლესობას არ დატოვებს, ვინაიდან ფრაქციაში გიგა ბოკერიას არ შეუყვანია, იგი ზურაბ ჟვანიას გუნდის წევრია და დღეს "ნაციონალური მოძრაობა - დემოკრატებს" წარმოადგენს. **ინტერპრესნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** საპარლამენტო უმრავლესობის სხდომა 4 სექტემბერს, ბორჯომში ჩატარდება. საპარლამენტო უმრავლესობა პარლამენტში წელიწადნახევრის განმავლობაში შექმნილ ვითარებას გააანალიზებს.

გარდა ამისა, მოსალოდნელია, რომ უმრავლესობის სხდომაზე კობა ბექაურის საკითხიც განიხილონ. გავრცელებული ინფორმაციით, საპარლამენტო უმრავლესობის წევრ დეპუტატებს, რომლებიც ჯერჯერობით არ არიან დაპირისპირებული კობა ბექაურთან, მის მიმართ გარკვეული კითხვები ექნებათ. როგორც საპარლამენტო უმრავლესობის წევრმა გუგული მაღრაძემ განაცხადა, მას შეკითხვები იმ ინფორმაციიდან გამომდინარე გაუჩნდება, რასაც მათ ბექაური უმრავლესობის სხდომაზე მიაწვდის.

გუგული მაღრაძის განცხადებით, მას ყოველთვის აკვირვებდა დეპუტატებსა და მედიას შორის არსებული "საკმაოდ მჭიდრო ურთიერთდამოკიდებულება". მაღრაძის მოსაზრებით, დეპუტატებისა და ჟურნალისტების მეგობრობა ძალიან კარგია, მაგრამ სუბორდინაცია მაინც მთავარია და ისინი - ჟურნალისტებიც და დეპუტატებიც ურთიერთკონტროლის მექანიზმს უნდა ახორციელებდნენ. **ინტერპრესნიუსი**

მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), დავით ნინიკაშვილი (პასუხისმგებელი რედაქტორი), ვიქტორ გათიკაშვილი (გენერალური დირექტორი), ირაკლი ლეჟავა (მარკეტინგის მენეჯერი). დიზაინი: გიორგი ხმალაძე, ავთო შარვაშიძე.
კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, დიმიტრი შალუტაშვილი, გიორგი ბერიაშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე, ლელა წიქარიშვილი. სტილი: ნანა ჯოხარიძე, ნინო სვანიძე, ხათუნა გოგიშვილი, ძიძია ძნელაძე, ლია თოფურია. რეკლამა - ზურაბ ჯაოშვილი.

# ლატვიელი "პროვაიდერები" საქართველოში

*ბალტიის ქვეყნებთან საქართველოს ურთიერთობები სულ უფრო ინტენსიური ხდება. ეს ტენდენცია განსაკუთრებით კარგად იკითხება საპარლამენტთაშორისო კონტაქტების გააქტიურებაში. ბალტიის სახელმწიფოებისა და საქართველოს უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოების თანამშრომლობის მაღალ ხარისხზე მეტყველებს თუნდაც ის, რომ საკანონმდებლო დელეგაციების გაცვლამ უკვე სისტემატური ხასიათი მიიღო.*

გიორგი ასანიშვილი

ამჟამად საქართველოში სამდღიანი სამუშაო ვიზიტით იმყოფება ლატვიის საპარლამენტო დელეგაცია, ლატვიის პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის თავმჯდომარის ინგრიდა კირსენეს ხელმძღვანელობით.

ლატვიელმა სტუმრებმა გუშინ საქართველოს პარლამენტში რამდენიმე შეხვედრა გამართეს. ადამიანის უფლებათა დაცვის, იურიდიულ საკითხთა და საგარეო ურთიერთობათა კომიტეტებში გამართული მოლაპარაკებების სპექტრი ძალიან ფართო იყო.

**"უამრავ თემას შევეხეთ. ვილაპარაკეთ აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის პრობლემებზე, ადამიანის უფლებათა დარღვევის შემთხვევებზე, კავკასიის მომავალზე და ამ მიმართებაში რუსეთის პოზიციაზე... როდესაც საქართველოდან რუსეთის სამხედრო ბაზების გაყვანის საკითხზე ვსაუბრობდით, მე მათ მოვუყევი იმ ელეგანტური სვლის შესახებ, რომელიც საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ გააკეთა, როდესაც სამცხე-ჯავახეთის რეგიონში ადგილობრივი მოსახლეობისგან საკვები პროდუქტის შესყიდვის შესახებ გადაწყვეტილება მიიღო,"** - განაცხადა ლატვიელ კოლეგებთან შეხვედრის დასრულების შემდეგ კოტე გაბაშვილმა "24 საათთან" საუბარში.

საქართველოს პარლამენტის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარის თქმით, ლატვიელი დეპუტატებისთვის უცნობი აღმოჩნდა ბელარუსში ქართველი "კმარელების" დაკავების ფაქტი. შეხვედრაზე მხარეები შეთანხმდნენ, რომ საქართველოსა და მისი მოქალაქეების უფლებების შელახვის თითოეული შემთხვევის შესახებ ლატვიელი პოლიტიკოსები საქმის კურსში ჩააყენებენ საერთაშორისო ორგანიზაციებს, მათ შორის, ნატო-სა და ევროკავშირს.

**"ამასთან, ბალტიის ქვეყნები საქართველოს აქტიური პროვაიდერები არიან, რათა ჩვენც გავხდეთ ნატო-სა და ევროკავშირის წევრები,"** - დასძენს კოტე გაბაშვილი.



ინტერპრესნიუსი

*ლატვიელი დეპუტატები საქართველოს პარლამენტში.*

ლატვიის საპარლამენტო დელეგაციის წევრებს საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებული კანონებიც აინტერესებთ.

პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის თავმჯდომარემ ელენე თევდორაძემ სტუმრებთან შეხვედრის დროს აქცენტი გააკეთა ეროვნული უმცირესობის შესახებ ევროპული კონვენციის რატიფიკაციაზე, რომლის მიღებაც, მისივე თქმით, ლატვიაში უკვე განხორციელდა, თუმცა ძალიან მტკივნეულად.

**"ქართველ პარლამენტარებს სურდათ შეეტყოთ, თუ როგორ გადალახეს ეს მტკივნეული საკითხი ლატვიაში და რა მექანიზმები დასჭირდათ იმისათვის, რომ ეროვნული უმცირესობის შესახებ აღებული ევროპული კონვენციის რატიფიცირება მომხდარიყო,"** - განაცხადა თევდორაძემ.

ლატვიის საპარლამენტო დელეგაცია გუშინ NDI-ის საპარლამენტო პროგრამის წარმომადგენლებსაც შეხვდა, დღეს კი ლატვიელები იუსტიციისა და შინაგან საქმეთა სამინისტროებს, აგრეთვე, გენერალურ პროკურატურას ეწვევიან. ვიზიტის მესამე დღე ლატვიის საპატიო კონსულთან და არასამთავრობო ორგანიზაციებთან შეხვედრებს დაეთმობა.

ლატვიის საპარლამენტო დელეგაცია 2 სექტემბერს თბილისის ქალთა კოლონიაში გაემგზავრება, რის შემდეგაც ომბუდსმენს შეხვდება. ვიზიტის ბოლოს დაგეგმილია მცხეთის მონახულებაც.

# აფხაზეთის ყოფილი და ამჟამინდელი პრეზიდენტები ერთმანეთს უპირისპირდებიან

პირველი გვერდიდან

არძინბასა და ბაგაფშს შორის დაპირისპირების შესახებ ინფორმაციას, აფხაზურ საინფორმაციო სააგენტოებთან ერთად, აფხაზეთის უშიშროების სამმართველოც ავრცელებს. დაპირისპირების შესახებ ამ სამსახურის უფროსი ლევან კიკნაძე აცხადებს: **"რამდენად რეალურია და რა მასშტაბების არის ეს უთანხმოება, ახლა სწორედ ამის გადამოწმება მიმდინარეობს."**

დე ფაქტო რესპუბლიკის ექსპრეზიდენტი ამტკიცებს, რომ აფხაზეთს, როგორც თვითაღიარებულ რესპუბლიკას, საერთაშორისო ბაზარზე საკუთარი ინტერესების განხორციელება გაუჭირდება. **"აფხაზეთის საზღვაო სანაპირო ზოლზე, ისევე, როგორც ხმელეთზე, ნავთობის მოპოვების კატეგორიული წინააღმდეგი ვარ და ამის შესახებ მე არაერთხელ გამიცხადებია. ჩვენ არაღიარებელი რესპუბლიკა ვართ და საერთაშორისო ბაზარზე ჩვენი ინტერესების დაცვა გაგვიჭირდება, რადგან არ გაგვაჩნია პოლიტიკური და საერთაშორისო სამართლებრივი ინსტრუმენტები, რომლებსაც ტრანსნაციონალურ კორპორაციებთან თანამშრომლობაში გამოვიყენებდით,"** - აღნიშნავს არძინბა.

გარდა ამისა, ის ამტკიცებს, რომ ოჩამჩირის შელფზე ნავთობმოპოვებითი სამუშაოების დაწყება რეგიონში საკურორტო სფეროს განვითარებას ხელს მნიშვნელოვნად შეუშლის. მეტიც, არძინბას მტკიცებით, ნავთობის მოპოვება რეალურ საფრთხეს შეუქმნის აფხაზეთის უნიკალურ ბუნებრივ პირობებს.

ამ საკითხთან დაკავშირებით რადიკალურად განსხვავებული პოზიცია აქვს დე ფაქტო რესპუბლიკის დღევანდელ პრეზიდენტს სერგეი ბაგაფშს, რომლის განცხადებით, საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ ნავთობის მოპოვების თემამ ახალი იმპულსი შეიძინა.

აფხაზეთში ნავთობმოპოვებითი სამუშაოების დაწყების სურვილი ერთ-ერთმა ყველაზე მსხვილმა რუსულმა ნავთობკომპანიამ "ლუკოილმა" გამოთქვა, რომელმაც სეპარატისტთა ხელისუფლებას ამასთან დაკავშირებით კონკრეტული პროექტიც წარუდგინა, თუმცა ის აფხაზური მხარისთვის არახელსაყრელი აღმოჩნდა და რუსულმა კომპანიამ აფახაზებისგან უარი მიიღო.

**"დაგვიკავშირდა რუსული კომპანია "ლუკოილის" ხელმძღვანელობა, რომელსაც აფხაზეთში ნავთობის საბადოებთან დაკავშირებით სერიოზული გეგმები აქვს,"** - აღნიშნა ბაგაფშმა.

როგორც რუსული და აფხაზური ინტერნეტ-გამოცემები იტყობინებიან, მოგვიანებით ეს საკითხი ბაგაფშისა და რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტის ვლადიმირ პუტინის შეხვედრაზეც განიხილეს. როგორც ბაგაფში აცხადებს, პუტინი მას დაჰპირდა, რომ იმ შემთხვევაში, თუ ამერიკელები შავი ზღვის შელფზე ნავთობის მოპოვებას დაიწყებდნენ, იგი აფხაზურ მხარეს ოპტიმალური ვარიანტის შერჩევაში დაეხმარებოდა.

რაც შეეხება საკურორტო სფეროს განვითარებას, ბაგაფშს მიაჩნია, რომ ნავთობის უახლესი ტექნოლოგიებით მოპოვება ეკოლოგიური კატასტროფის საფრთხეს მინიმუმამდე ამცირებს.

და მაინც, თუ რა მასშტაბის შეიძლება იყოს ხსენებული ნავთობსაბადო და შესაძლებელია თუ არა, მან რეგიონს გარკვეული ეკოლოგიური საფრთხე შეუქმნას, ამის შესახებ ქართულ მხარეს მხოლოდ ზერელე წარმოდგენა აქვს. აი, რა განაცხადა "24 საათთან" საუბრის დროს გეოლოგიის დეპარტამენტის ყოფილმა ხელმძღვანელმა სანდრო თვალჭრელიძე: **"მე მაქვს ინფორმაცია იმის თაობაზე, თუ რა რაოდენობის ნავთობსაბადოებს ფლობს დღეს მთლიანად აფხაზეთი. ბოლო მონაცემებით, რომელიც ერთ-ერთი კერძო კომპანიის მიერ ჩატარებულ კვლევას ეფუძნება, აფხაზეთის საბადოები 500 მილიონ ტონა ნავთობს შეიცავს."**

# დამოუკიდებელი ეროვნული მარეგულირებელი ორგანოების რეფორმა იწყება

პირველი გვერდიდან

ბენდუქიძის თქმით, არსებული 5-დან მხოლოდ ორი მარეგულირებელი ორგანო - ენერგეტიკის მარეგულირებელი ეროვნული კომისია და კომუნიკაციების ეროვნული მარეგულირებელი კომისია დარჩება. ხოლო ტრანსპორტის მარეგულირებლები გაერთიანდებიან და შეიქმნება ტრანსპორტის ერთიანი ადმინისტრაცია, რომელსაც მხოლოდ ტექნიკური მარეგულირებლის ფუნქცია ექნება. რაც შეეხება ნავთობისა და გაზის მარეგულირებელ სააგენტოს, 2006 წლიდან იგი სახელმწიფოს მმართველობას დაექვემდებარება. როგორც ბენდუქიძე აცხადებს, კანონის მიღების შემდეგ მარეგულირებელი ორგანოები სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაფინანსდებიან და, სავარაუდოდ, მათი შენახვა ბიუჯეტს წელიწადში 2-3 მილიონი ლარი დაუჯდება.

ბენდუქიძის ინფორმაციით, დღევანდელი მდგომარეობით, საქართველოს ეკონომიკას მარეგულირებლების შენახვა 15 მილიონი ლარი უჯდება. დღეისთვის მარეგულირებლები რეგულირების საფასურით ფინანსდებიან. შესაბამისი კანინპროექტის პარლამენტში შეტანას საქართველოს მთავრობა მომავალ კვირაში გეგმავს. გარდა ამისა, უახლოეს მომავალში საქართველოს ხელისუფლება 360 ათასი ჰექტარის სასოფლო-სამეურნეო მიწების პრივატიზაციას გეგმავს. როგორც მთავრობის სხდომის შემდეგ ეკონომიკის მინისტრმა ირაკლი ჩოგოვაძემ განაცხადა, პრივატიზაციის პროცესში უპირატესობა მიენიჭებათ მათ, ვისაც სასოფლო-სამეურნეო მიწები იჯარით აქვთ აღებული. პრივატიზაციის პროცესი სექტემბრიდან დაიწყება და მას როგორც ადგილობრივი საკრებულოები, ასევე ეკონომიკის სამინისტრო განახორციელებს. ჩოგოვაძის განმარტებით, პრივატიზაციას არ დაექვემდებარება სასაზღვრო ზოლიდან 500 მეტრის რადიუსში მდებარე მიწები.

# "ბათუმის გემთსაშენი ქარხანა" "ჩაწვა"

*"ბათუმის გემთსაშენი ქარხანა", რომლის საწყისი ფასი 7 700 000 დოლარი იყო, არ გაიყიდა. როგორც ეკონომიკური განვითარების სამინისტროში განაცხადეს, განაცხადების არარსებობის გამო, "ბათუმის გემთსაშენი ქარხნის" კონკურსი არ შედგა. სახელმწიფო საკუთრებაში არსებული "ბათუმის გემთსაშენი ქარხნის" 100-პროცენტიანი წილის პრივატიზაციის მიზნით განაცხადების მიღება სამინისტრომ 1 აგვისტოდან დაიწყო. განაცხადების მიღების ვადა 30 აგვისტოს, საღამოს 6 საათზე ამოიწურა. ობიექტით არავინ დაინტერესებულა.*

ახლა ეკონომიკური განვითარების სამინისტრო "ბათუმის გემთსაშენი ქარხნის" კონკურსის წესით გაყიდვას უკვე მეორედ შეეცდება. 7,7 მლნ აშშ დოლარად შეფასებული ობიექტი 31 აგვისტოს დანიშნულ საკონკურსო ვაჭრობაზე გაიყიდება.

სამინისტროს ინფორმაციით, ქარხნის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს მცურავი საშუალებების მშენებლობა და რემონტი, მანქანა-დანადგარების და ლითონკონსტრუქციების მშენებლობა და რემონტი. "გემთსაშენი ქარხნის" საწესდებო კაპიტალი 13, 8 მლნ ლარს შეადგენს, დებიტორული დავალიანება - 309 837 ლარი, კრედიტორული დავალიანება - 1 633 152 ლარია. სამინისტრო კონკურსში მონაწილეობის მიღების მსურველებს შემდეგ პირობებს უყენებს: საწარმოს მყიდველმა შესყიდვის ხელშეკრულების გაფორმებიდან ერთი თვის ვადაში უნდა დაფაროს ღირებულების 50 პროცენტი, ხოლო დანარჩენი თანხა - მიმდინარე წლის 15 დეკემბრამდე, მინიმუმ 5 წლის განმავლობაში უნდა შეინარჩუნოს საწარმოს ძირითადი პროფილი, 3 წლის მანძილზე შეინარჩუნოს საწარმოში დასაქმებულთა რაოდენობა და მათი ხელფასები 10 პროცენტით უნდა გაზარდოს.

გარდა ამისა, ეკონომიკური განვითარების სამინისტრო კიდევ 6 ობიექტს ყიდის. კერძოდ, პირველ სექტემბერს საპრივატიზაციოდ გამოიტანენ 6 ობიექტს. ესენია - შპს "ლილო 1"-ის სახელმწიფო საკუთრებაში არსებული 100-პროცენტიანი წილი, რომლის საწყისი გასაყიდი ფასი 2 100 000 დოლარია. ობიექტი აუქციონის წესით გაიყიდება. აღსანიშნავია, რომ ის აუქციონზე ეკონომიკური განვითარების სამინისტრომ მეორედ გამოიტანა. ხვალვე აუქციონზე გამოიტანენ რესტორანს "თეთრი გედი", რომლის საწყისი ფასი 160 000 დოლარია და შპს "არილ 2000-ს", რომლის საწყისი ფასი 150 000 დოლარია. 65-65 ათას დოლარად იყიდება შპს "მექანიზატორი" და შპს "მცირეინვაზიური ქირურგიული ცენტრი". 30 00 დოლარად არის შეფასებული ქ. თბილისში, გლდანის რაიონში ანდრონიკაშვილის შესახვევი N36-ში მდებარე ერთსართულიანი შენობა, რომელიც აუქციონზე, ასევე, ხვალ გაიყიდება. როგორც ეკონომიკური განვითარების სამინისტროში განაცხადეს, აღნიშნულ ობიექტებზე განაცხადების წარმოდგენის ვადა დღეს, საღამოს 5 საათზე იწურება.

*24 საათი*

# კობა ბექაური პასუხებს პარლამენტს გასცემს, შალვა რამიშვილი - საოლქო სასამართლოს

პირველი გვერდიდან

ბექაური-რამიშვილის ინციდენტი, არა მარტო საზოგადოებაში, არამედ პარლამენტშიც გახდა აზრთა სხვადასხვაობის მიზეზი. თუმცა, იმასაც ამბობენ, რომ უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში ბევრი საკუთარ მოსაზრებას, მიზეზთა გამო, ხმამაღლა ვერ ასახელებს. რამდენიმე დეპუტატის გარდა, აღნიშნულ საკითხზე კომენტარი გუშინ საქართველოს პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარემ ლევან ბეჟაშვილმაც გააკეთა. ბეჟაშვილი, კოლეგების მსგავსად, კობა ბექაურის ქმედებებში, ფორმალური გაგებით, კანონდარღვევას ვერ ხედავს. როგორც ბეჟაშვილმა განაცხადა, იგი მას შემდეგ შეაფასებს ბექაურის საქციელს, როცა ამომწურავ ინფორმაციას მიიღებს "გამოძალვის" ინციდენტთან და ბექაურის საქმიანობასთან დაკავშირებით. თუმცა, ლევან ბეჟაშვილს ისიც აინტერესებს, რატომ იჯდა საბაჟო დოკუმენტაციის გაფორმების ჯგუფი "ოპიზაში". იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარის განცხადებით, თუ ბექაურის ქმედებებში აღმოჩნდება კანონდარღვევები და საქართველოს სამართალდამცველი ორგანოები აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით რეაგირებას არ მოახდენენ, მაშინ საქართველოს პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტი აუცილებლად დასვამს საკითხს თავად სამართალდამცავების პასუხისმგებლობის შესახებ და მათზე მოახდენს შესაბამის რეაგირებას.

**"ბექაურს სამართლებრივად მოგვარებული აქვს ის პრობლემები, რის შესახებაც საზოგადოებაში ეჭვები არსებობს, მაგრამ ფაქტის მორალური და პოლიტიკური შეფასება უნდა გაკეთდეს მას შემდეგ, როცა გაირკვევა, აქვთ თუ არა ბექაურის მეუღლეს და მის ნათესავებს საბაჟო ტერმინალ "ოპიზაში" წილი, მართლა ზის თუ არა იქ საბაჟო გაფორმების ჯგუფი და ასე შემდეგ",** - აცხადებს ბეჟაშვილი.

სანამ საპარლამენტო უმრავლესობა 4 სექტემბრის სხდომისთვის ემზადება, გამოძალვაში ბრალდებული შალვა რამიშვილის და დავით კოხრეიძის ადვოკატები მათი დაცვის ქვეშ მყოფთათვის შეფარდებულ წინასწარ პატიმრობას საოლქო სასამართლოში ასაჩივრებენ. ისინი რამიშვილისა და კოხრეიძის უკანონო პატიმრებად გამოცხადებას და, აქედან გამომდინარე, გათავისუფლებას მოითხოვენ.

**"შუამდგომლობაში ჩვენ რამიშვილის და კოხრეიძის უდანაშაულობას ვასაბუთებთ და იმედი გვაქვს, რომ ზემდგომი სასამართლო ჩვენს არგუმენტებს გაითვალისწინებს. მით უმეტეს, რომ ბრალდების მხარეს არანაირად არ აქვს დასაბუთებული ბრალდებულების ციხეში ყოფნის აუცილებლობა",** - განაცხადა ადვოკატმა დავით კორკოტაშვილმა, რომლის ვარაუდითაც, სასამართლო პროცესი ორშაბათს დაინიშნება.

გუშინვე გახდა ცნობილი, რომ შალვა რამიშვილი და დავით კოხრეიძე პარლამენტის ადამიანის უფლებების დაცვის კომიტეტის თავმჯდომარემ ელენე თევდორაძემ № 1 საპყრობილეში მოინახულა. ელენე თევდორაძემ ჟურნალისტებს ციხეში შესვლამდე განუცხადა, რომ შეხვედრა თავად ბრალდებულებმა მოითხოვეს. უკვე საპყრობილიდან გამოსულმა დეპუტატმა კი აღნიშნა, რომ დაკავებულები თავს ნორმალურად გრძნობენ, თუმცა, რამიშვილი მოითხოვს, სამართალდამცველები დაინტერესდნენ იმ ბინით და მისი პატრონით, სადაც ფულის გადაცემა მოხდა.

დაბოლოს, როგორც ტელეკომპანია "202"-ის თანამშრომლები ამბობენ, ცნობილი ტელეწამყვანის დაპატიმრების შემდეგ მისი ბედით საერთაშორისო ორგანიზაციები და მსოფლიოს წამყვანი ჟურნალისტები დაინტერესდნენ. მათი თქმით, ისინი ტელეკომპანიაში რეკავენ და გამოთქვამენ მზადყოფნას, ჩამოვიდნენ საქართველოში, რათა არნიშნულ ინციდენტზე სიუჟეტები მოამზადონ.

*24 საათი*

# კომერციულმა ბანკებმა წელს 65 პროცენტით მეტი სესხი გასცეს

საქართველოს კომერციული ბანკების მიერ ეროვნული ეკონომიკისათვის გაცემული მთლიანი სესხების მოცულობა, მიმდინარე წლის პირველი აგვისტოსათვის, შარშანდელ ანალოგიურ მაჩვენებელს 65 პროცენტით აღემატება. 2005 წლის შვიდი თვის მონაცემებით, ეს ციფრი 1,28 მილიარდ ლარს შეადგენს.

საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის რომან გოცირიძის შეფასებით, ამგვარი ტენდენცია ბოლო პერიოდში გამოიკვეთა, რაც უპირველესად, ეროვნული ვალუტისადმი მოსახლეობის ნდობის ამაღლებას, საბანკო სექტორის სტაბილურობასა და სამეწარმეო აქტივობის ზრდას უკავშირდება.

საბანკო სექტორის საკრედიტო პორტფელში ყველაზე დიდი წილი - 35 პროცენტი ვაჭრობისა და მომსახურების სფეროს დაკრედიტებაზე მოდის, 29 პროცენტი - ფიზიკურ პირების, 12 პროცენტი - სამთომომპოვებელი და გადამამუშავებელი სექტორის, 6 პროცენტი კი - მშენებლობისათვის გაცემულ სესხებზე.

ამასთან, ამ პერიოდში, კომერციული ბანკების მიერ ეროვნულ ვალუტაში გაცემული სესხების მოცულობის ზრდის ტემპმა უცხოურ ვალუტაში გაცემული სესხების ოდენობას მნიშვნელოვნად გადააჭარბა. 2005 წლის შვიდ თვეში ლარში გაცემული სესხების ოდენობამ, გასული წლის ამავე თარიღისათვის, არსებულთან შედარებით, 209 პროცენტით მოიმატა და 274 939 000 ლარი შეადგინა, უცხოურ ვალუტაში გაცემული სესხების მოცულობამ კი - 1 007 938 000 ლარი, რაც შარშანდელ მაჩვენებელზე 47 პროცენტით მეტია.

როგორც გუშინ ეროვნულ ბანკში გახდა ცნობილი, ბანკმა კუთვნილი ავტოპარკის ნაწილის აუქციონზე რეალიზაციით 20 591 ლარის ოდენობის შემოსავალი მიიღო. ეროვნული ბანკის სატენდერო კომისიამ მის საკუთრებაში არსებული 6 ავტომობილი - ხუთი "გაზ-31029" და ერთი "გაზ- 31-10" აუქციონზე სარეალიზაციოდ გამოიტანა. აუქციონის პირობები და საწყისი ფასი წინასწარ გამოქვეყნდა პრესასა და ეროვნული ბანკის ოფიციალურ ინტერნეტ-წარმომადგენლობის საიტზე.

30 აგვისტოს გამართულ აუქციონზე 6 ავტომობილის შესაძენად 21 განაცხადი შევიდა. ეროვნული ბანკის ბალანსზე არსებული ავტომობილების საბოლოო სარეალიზაციო ღირებულებამ საწყის ფასს თითქმის 2-ჯერ გადააჭარბა. ავტომობილების მინიმალურმა სარეალიზაციო ფასმა 3 122 ლარი, ხოლო მაქსიმალურმა 3 856, 50 ლარი შეადგინა. კუთვნილი ავტოპარკის ნაწილის გაყიდვით ეროვნულმა ბანკმა მიიღო 20 591 ლარი, რომელიც, "სააუქციონო კომისიის დებულების" თანახმად, ეროვნული ბანკის შემოსავლებში შევიდა.

ეროვნული ბანკის ვიცე-პრეზიდენტ გიორგი ღლონტის განცხადებით, ეროვნული ბანკი თავის ბალანსზე არსებული, უკვე მოძველებული მატერიალური აქტივების რეალიზაციას მომავალშიც წარმართავს, რითაც ტენდერში მაღალი კონკურენციის პირობების შექმნასა და, საბოლოოდ, მაქსიმალური შემოსავლის მიღებას შეეცდება.

*24 საათი*

# გდანსკიდან მინსკამდე

პირველი გვერდიდან

**"ჩვენ უნდა გავითავისოთ, რა მოხდა აქ 25 წლის წინ, და რას ემსახურებოდა ეს. რომ არ ყოფილიყო "სოლიდარნოსტი", არ მოხდებოდა ბევრი დადებითი მოვლენა მსოფლიოში,"** - ამ სიტყვებით მიმართა საზოგადოებას ისტორიულმა ლიდერმა ლეხ ვალენსამ გუშინ, საერთაშორისო კონფერენციის "სოლიდარნოსტი"-დან თავისუფლებამდე" გდანსკში გამართულ დასკვნით კონფერენციაზე.

დამსწრეთა შორის იყვნენ პოლონეთის ახლანდელი პრეზიდენტი, აშშ-ს ყოფილი სახელმწიფო მდივანი, გერმანიის, უნგრეთის და ჩეხეთის პრეზიდენტები, რომლებიც საკუთარ გამოსვლებში "სოლიდარნოსტი"-ს საერთაშორისო შედეგებზე საუბრობდნენ. ამ კუთხით, ყურადღების ცენტრში სწორედ უკრაინის და საქართველოს პრეზიდენტები იყვნენ, რომლებმაც საკუთარ სახელმწიფოებში განხორციელებული უსისხლო რევოლუციებით პოლონეთში წამოწყებული გამათავისუფლებელი მოძრაობის იდეა განავითარეს.

დამსწრე პოლიტიკური ლიდერებისადმი მიმართვაში ვიქტორ იუშჩენკომ ევროგაერთიანებაში უკრაინის როლზე ისაუბრა და ახალ დემოკრატიულ სახელმწიფოებს ურთიერთმხარდაჭერისკენ მოუწოდა. **"ევროპა უკრაინას სჭირდება, მაგრამ უკრაინაც სჭირდება ევროპას,"** - ხაზი გაუსვა მან.

სიტყვით გამოვიდა მიხეილ სააკაშვილიც, რომელმაც პოლონეთის რესპუბლიკის ყოფილ პრეზიდენტს ლეხ ვალენსას და "სოლიდარნოსტი"-ს ყველა ლიდერს მადლობა გადაუხადა **"იმ შთაგონებისთვის, რომელიც მათ გვაჩუქეს."** საქართველოს პრეზიდენტის რწმენით, საბჭოთა კავშირის ნგრევის დაწყება არის საუკეთესო, რაც მე-20 საუკუნეში შეიძლებოდა მომხდარიყო.

**"დემოკრატიისათვის ბრძოლის პირველი ტალღა 25 წლის წინ, პოლონეთში იყო. ხოლო მეორე ტალღა საქართველოში დაიწყო და შემდეგ უკრაინაში გადავიდა,"** - თქვა მან. ამასთან, მიხეილ სააკაშვილმა ბელარუსის გათავისუფლებაზეც გაამახვილა ყურადღება და საჯაროდ მოითხოვა მინსკში მოძრაობა "კმარას" ორი აქტივისტის ციხიდან გამოშვება. **"მე მჯერა, რომ თავისუფლება და დემოკრატია ყველგან გაიმარჯვებს, მათ შორის - ბელარუსში,"** - ხაზგასმით აღნიშნა მიხეილ სააკაშვილმა.

"ვარდების რევოლუცია" საქართველოში და "ნარინჯისფერი რევოლუცია" უკრაინაში ბელარუსის ოპოზიციისა და საზოგადოებისათვის დიდი იმედის და შთაგონების წყაროა. ბელარუსში მომავალ წელს საპრეზიდენტო არჩევნები ჩატარდება, რისთვისაც ოპოზიციური ძალები სათანადოდ ემზადებიან. მზად არიან ყველაფრისთვის, რაც შეიძლება მოხდეს, და როგორც თავად აღნიშნავენ, ამ კუთხით, მიხეილ სააკაშვილის ყურადღება და საერთაშორისო საზოგადოების დაინტერესება მათთვის ძალზე მნიშვნელოვანია.

**"მომავალში ბელარუსი იქნება ბედნიერი, თავისუფალი, დემოკრატიული ევროპული ქვეყანა. მანამდე კი იქნება ის, რაც იყო საქართველოში. ჩვენ ვეცდებით ვიყოთ მშვიდები და კონსტრუქციულები. ჩვენ უსისხლოდ უნდა დავიცვათ საკუთარი კონსტიტუციური უფლება - თავისუფალი არჩევანის უფლება,"** - აღნიშნა "24 საათთან" ინტერვიუში სტანისლავ შუშკევიჩმა, ბელარუსში 2006 წლის საპრეზიდენტო არჩევნების ერთ-ერთმა სავარაუდო კანდიდატმა.

მინსკის ოპოზიცია კონგრესის გამართვას გეგმავს, რომელზეც არჩეულ იქნება პრეზიდენტობის ერთი კანდიდატი და ლიდერი. შემდგომ კი მის გარშემო ძლიერი კოალიცია ჩამოყალიბდება. პარტია "ბნფ"-ს (ბელარუსის სახალხო ფონტი) ლიდერი, პრეზიდენტობის კიდევ ერთი სავარაუდო კანდიდატი ვინცუკ ვიაჩორკა შიშობს, რომ ბელარუსის ამჟამინდელი პრეზიდენტი ყველაფერს გააკეთებს იმისათვის, რათა კონგრესის გამართვას ხელი შეუშალოს. ამის გამო, ოპოზიციონერი ლიდერის არჩევა შესაძლოა, კიევში მოხდეს. **"ვფიქრობ, ლუკაშენკომ რომც სცადოს საზოგადოებას ფსევდო-დემოკრატი კანდიდატი შეაპაროს, ჩვენ მიერ ჩატარებული კონგრესის შემდეგ ეს აღარ გამოუვა,"** - აღნიშნა მან.

რაც შეეხება საქართველოს პრეზიდენტს მიხეილ სააკაშვილს, მან, საერთაშორისო კონფერენციის დასრულების შემდეგ, პოლონური მოძრაობა "სოლიდარნოსტი"-ს 25 წლისთავისადმი მიძღვნილ საზეიმო ღონისძიებებშიც მიიღო მონაწილეობა. გუშინვე მიხეილ სააკაშვილმა შეხვედრა აშშ-ს პრეზიდენტის მრჩეველთან ევროპის საკითხებში დანიელ ფრიდთან გამართა.

# სააავტობუსო მარშრუტების მოძრაობის სქემა

| მარშრუტის ნომერი | მ ა რ შ რ უ ტ ი ს   მ ი მ ა რ თ უ ლ ე ბ ა | ავტობუსების რაოდენობა: სამუშაო დღე | შაბათი | კვირა |
|---|---|---|---|---|
| 1 | 2 | 3 | 4 | 5 |
| 1 | ლილოს დასახლება - კახეთის გზატკეცილი - მ/ს "ისანი" - მ/ს "სამგორი"-ს ქვედა სადგური. **უკან იგივე მიმართულებით.** | 5 | 4 | 3 |
| 2 | ჭიჭინაძის ქ. - გუმათელის ქ. - ქინძმარაულის ქ. - მოსკოვის გამზ. - ქეთევან წამებულის ქ. - ბარათაშვილის ქ.-რუსთაველის გამზ.- კოსტავას ქ.- თამარ მეფის გამზ.- რკინიგზის ც/სადგური. **უკან იგივე მიმართულებით.** | 10 | 8 | 6 |
| 3 | მ/ს "ახმეტელის თეატრი" - მუხიანი - თემქის მე-3 მ/რ - მე-11 მ/რ - ანაპის ქ. - მ/ს "სარაჯიშვილი" - **უკან იგივე სქემით** | 5 | 4 | 3 |
| 4 | მ/ს "გოცირიძე" - ვაჟა ფშაველას გამზ. -ქავთარაძის ქ. - ჯიქიას ქ. | 3 | 1 | 0 |
| 5 | საავიაციო ქარხანა - ბ. ხმელნიცკის ქ. - ჩოლოყაშვილის ქ. - გულიას ქ. (ც/ავტოსადგური) - გორგასლის ქ. - მეტეხის ხიდი - მტკვრის მარცხენა სანაპირო - ბარათაშვილის ხიდი - თავისუფლების მ-ნი - რუსთაველის გამზ. - კოსტავას ქ. - სააკაძის მ-ნი - მელიქიშვილის ქ. -ვ. ფშაველას გამზ. -ქავთარაძის ქ. - უნივერსიტეტის მ/კორპ. **უკუ მიმართულებით**: უნივერსიტეტის მ/კორპუსი - ქავთარაძის ქ. - მ/ს "გოცირიძე" - ყაზბეგის გამზირი - გამსახურდიას გამზირის დასაწყისი - სააკაძის მოედანი - სასტუმრო "აჭარა" - გმირთა მოედანი - მელიქიშვილის ქუჩა - რუსთაველის გამზირი - ბარათაშვილის ქ. -მტკვრის მარჯვენა სანაპირო - გორგასლის ქ. - და შემდეგ არსებული სქემით. | 12 | 8 | 4 |
| 6 | ჯიქიას ქ. - ს. ეულის ქ. - ნუცუბიძის ქ. - კანდელაკის ქ. - დ. შარტავას ქ. - ვარაზისხევი-მელიქიშვილის ქ.- რუსთაველის გამზ. - ბარათაშვილის ქ. - მარჯვენა სანაპირო - გორგასლის ქ. - გულიას ქ. - ბოგდან ხმელნიცკის ქ. - თბილავიამშენი. **უკუ მიმართულებით**: თბილავიამშენი - ბოგდან ხმელნიცკის ქ. - გულიას ქ. - გორგასლის ქ. - მტკვრის მარჯვენა სანაპირო - ბარათაშვილის ქ. - რუსთაველის გამზირი - კოსტავას ქ. - სააკაძის მოედანი - დ. შარტავას ქ. - კანდელაკის ქ. - ნუცუბიძის ქ. - ასათიანის ქ. - მ/ს "გოცირიძე" - ვ. ფშაველას გამზირი - ს. ეულის ქუჩა - ჯიქიას ქ. | 8 | 6 | 6 |
| 7 | ორბელიანის მოედანი - ლეონიძის ქ. - ამაღლების ქ. - ოქროყანა | 4 | 3 | 3 |
| 8 | ვაკის პარკი - ჭავჭავაძის გამზირი - მელიქიშვილის ქ. - კოსტავას ქ. - გამსახურდიას გამზირი - ვ. ფშაველას გამზირი - თამარაშვილის ქ. - ვაკის პარკი (წრიული) | 6 | 4 | 3 |
| 9 | ვარკეთილის მასივის IV მ/რ - სუხიშვილის ქ. - ჯავახეთის ქ. - მოსკოვის გამზ. - ქეთევან წამებულის ქ. - მ/ს "ისანი" | 3 | 3 | 3 |
| 10 | ვარკეთილის მასივი - კალოუბნის ქ - ჯავახეთის ქ. - მ/ს "სამგორის" ქვედა სადგური - ქეთევან წამებულის ქ. - გულიას ქ. - გორგასალის ქ. - ბარათაშვილის ქ. | 5 | 4 | 3 |
| 11 | გადასასვლელი ხიდი - ცოტნე დადიანის ქ. - გურამიშვილის გამზ. - სარაჯიშვილის ქ. - ლიბანის ქ. - აეჭალის ღელე | 9 | 7 | 6 |
| 12 | მ/ს "ავლაბარი" - ბარათაშვილის აღმართი, ხიდი - რუსთაველის გამზირი - კოსტავას ქ. - გამსახურდიას გამზირი - ვ.ფშაველას გამზ.-ს. ეულის ქ. - ჯიქიას ქ. | 6 | 4 | 4 |
| 14 | დიდი დიღომის IV მ/რ - ალმასიანის... ალმაშენებლის ხეივანი - გაგარინის მოედანი - შარტავას ქ. - ვარაზისხევი - რუსთაველის გამზ. - ბარათაშვილის ქ. - მ/ს "ავლაბარი". **უკუ მიმართულებით არსებული სქემით.** | 9 | 8 | 6 |
| 15 | ც/საკოლმეურნეო ბაზარი - "დინამოს" სტადიონი - წერეთლის გამზ. - რობაქიძის გამზ - ალმაშენებლის ხეივანი - პეტრიწის ქ. -დიდი დიღმის II მ/რ- III მ/რ-IV მ/რ. | 10 | 8 | 8 |
| 16 | ბარათაშვილის ქ. - გორგასლის ქ - რუსთავის გზატკ. - გიგანტი. | 6 | 4 | 4 |
| 17 | რ/ც სადგური- თამარ მეფის გამზ.- ვარაზისხევი - მელიქიშვილის ქ. - რუსთაველის გამზ. - ბარათაშვილის ქ. - გორგასლის ქ. - რუსთავის გზატკ.-ზემო ფონიჭალა. | 6 | 4 | 4 |
| 18 | მ/ს "ავლაბარი" -ავლაბრის ქ. -მესხიშვილის ქ. -ბუხაიძის ქ. -გორკის ქ. - ხეთაგუროვის ქ. - გოგიბერიძის ქ. -დ. აღმაშენებლის გამზ. -თამარ მეფის გამზ.-ვაგზლის მ-ნი | 4 | 2 | 2 |
| 19 | ვაზისუბნის II მ/რ - მ/ს "ვარკეთილი" - ჯავახეთის ქ - მოსკოვის გამზ - მ/ს "სამგორის" ქვედა სადგური - ქეთევან წამებულის ქ - ნავთლუღის ქ - ბალდათის ქ - გულიას ქ. -გორგასლის ქ. - რუსთავის გზატკეცილი - ზემო ფონიჭალის დასახლება | 10 | 8 | 6 |
| 20 | N2 ბავშვთა საავადმყოფო - ლუბლიანას ქ. - რობაქიძის გამზ. - წერეთლის გამზ.-ცაბაძის ქ - აღმაშენებლის გამზ. - ორბელიანის მ-ნი. | 15 | 9 | 8 |
| 21 | უნივერსიტეტის მ/კორპ. - ჯიქიას ქ. - მინდელის ქ. -ს. ეულის ქ. -ვ. ფშაველას გამზ. ყაზბეგის გამზ. - თამარაშვილის ქ. -ჭავჭავაძის გამზ. - მელიქიშვილის ქ. - კოსტავას ქ. - გმირთა მ-ნი -თამარ მეფის გამზ. -ცენტრალური სუპერმარკეტი - წერეთლის გამზ. -რობაქიძის გამზ. -ბავშვთა მე-2 საავადმყოფო - ლედუმაურის სახ. კლინიკა -ავტომაზრობა -მინდელის სახ.ხიდი -ქ-ნა შიონი- დიდი დიღომი III IV-მ/რ. | 10 | 8 | 8 |
| 22 | ვაგზლის მ-ნი - თამარ მეფის გამზირი - კოსტავას ქ. - სააკაძი მ-ნი - საბურთალოს ქუჩა - ვ. ფშაველას გამზირი - თამარაშვილის ქ. - ჭავჭავაძის გამზირი - ბაგები. | 5 | 3 | 3 |
| 23 | გლდანის მასივის მე-7 - მე-8 მ/რ - გამარჯვების ქ.-ვეკუას ქ. - ქერჩის ქ. - გურამიშვილის გამზ. - ცოტნე დადიანის ქუჩა- ორბელიანის მ-ნი | 10 | 8 | 8 |
| 24 | გლდანის მასივის მე-7 - მე-8 მ/რ - მ/ს "ახმეტელის თეატრი"- გურამიშვილის გამზ. - ბავშვთაA მე-2 საავადმყოფო - ლუბლიანის ქ. - რობაქიძის გამზ.- გელოვანის ქ. - გაგარინის მ-ნი - ვაჟა ფშაველას გამზ. - ქავთარაძის ქ. - უნივერსიტეტის მ/კორპუსი. | 10 | 6 | 0 |
| 25 | ვაზისუბნის III - IV მ/რ. მ/ს "ვარკეთილი" - ჯავახეთის ქ - მოსკოვის გამზირი - მ/ს "სამგორი"-ს ქვედა სადგური - მ/ს "ისანი" - ბარათაშვილის ქ. **უკუ იგივე მიმართულებით,** მეტრო "ვარკეთილი"-ს გავლით. | 5 | 4 | 4 |
| 26 | მე-3 მასივი ზ/პლატო მე-4 კორპ. - თრიალეთის ქ. -კალოუბნის ქ. -ჯავახეთის ქ. -მოსკოვის გამზ.- ბალდათის ქ. -გულიას ქ.(ც/ავტოსადგური)- რუსთავის გზატკ. - ქვემო ფონიჭალა. | 8 | 4 | 4 |
| 27 | რ/ც სადგური - თამარ მეფის გამზ. - აღმაშენებლის გამზ. - ცაბაძის ქ. - წერეთლის გამზ. - რობაქიძის გამზ. - გელოვანის ქ. - გოძიაშვილის ქ. - ვაშლიჯვარის დასახლება. | 4 | 3 | 3 |
| 28 | მარჯანიშვილის მ-ნი - მარჯანიშვილის ქ. - ნინოშვილის ქ. - ტერენტი გრანელის ქ. - პისარევის ქ. - სვანეთის უბანი | 4 | 3 | 3 |
| 29 | მ/ს "გოცირიძე" - ი. ვაკელის ქ. ლისის ქუჩა - ონკოლოგიური საავადმყოფო. | 3 | 2 | 2 |
| 30 | ვარკეთილის მე-3 მ/რ - სუხიშვილის ქ. - ჯავახეთის ქ.- მოსკოვის გამზ. - ქეთევან წამებულის ქ. - ზაარბრიუკენის მ-ნი -მტკვრის მარცხენა სანაპირო- თამარ მეფის გამზირი - რკინიგზის ც/სადგური. **უკუ მიმართულებით**: რკინიგზის ცენტრალური სადგური - თამარ მეფის გამზირი - აღმაშენებლის გამზირი - ზაარბრიუკენის მოედანი - ქეთევან წამებულის ქუჩა - მოსკოვის გამზირი - ჯავახეთის ქ. - სუხიშვილის ქ. - ვარკეთილის მე-3 მ/რ. | 10 | 8 | 8 |
| 31 | "თბილავიამშენი"-ს საფრენ-საგამოცდო სანარმო - ლითონკონსტრუქციების დასახლება - ჩოლოყაშვილის ქ. -ბ. ხმელნიცკის ქ. -ბალდათის ქ. -ქ. წამებულის ქ. -ბარათაშვილის ქ. - რუსთაველის გამზ.- კოსტავას ქ. - თამარ მეფის გამზ.- რ/ც სადგური. | 10 | 8 | 8 |
| 32 | რ/ც სადგური - თამარ მეფის გამზ. - კოსტავას ქ.- შარტავას ქ. კანდელაკის ქ. - ნუცუბიძის ქ. - ძლენტის ქ. - ნუცუბიძის პლატო მე-2 მე-4 მ/რ. | 4 | 3 | 3 |
| 33 | გლდანის მასივის მე-7 - მე-8 მ/რ - ვეკუას ქ. - ქერჩის ქ. -გურამიშვილის გამზ. - თორნიკე ერისთავის ქ. - წერეთლის გამზ. - დ. აღმაშენებლის გამზირი -მარჯანიშვილის ქ. -ელბაქიძის აღმართი - რუსთაველის გამზ. -თავისუფლების მ-ნი - ბარათაშვილის ქ. უკუ მიმართულებით: რუსთაველის გამზირი - კოსტავას ქ. - თამარ მეფის გამზირი - აღმაშენებლის გამზირი შემდეგ არსებული სქემით. | 8 | 6 | 6 |
| 34 | წყნეთი - ბაგები - ჭავჭავაძის გამზირი - მელიქიშვილის ქ. - რუსთაველის გამზირი - რესპუბლიკის მოედანი - ელბაქიძის ქ. - მარჯანიშვილის მოედანი - აღმაშენებლის გამზირი -თამარ მეფის გამზირი-რკინიგზის ც/სადგური. **უკუ არსებული სქემით.** | 6 | 3 | 3 |
| 35 | მ/ს "ახმეტელი" - მუხიანის დასახ. -თემქა III მ/რ- მ/ს "სარაჯიშვილი" - გურამიშვილის ქ. - მ/ს "დიდუბე" - წერეთლის პროსპექტი - მ/ს "წერეთელი" - აღმაშენებლის გამზ.- მტკვრის მარცხ. სან. - ბარათაშვილის ქ. **უკუ მიმართულებით**: ზაარბრიუკენის მოედნის გავლით. | 8 | 6 | 5 |
| 36 | გადასასვლელი ხიდი -ც. დადიანის ქ. -ურიდიას ქ. - სამღერეთის ქ. - კლდეკარის ქ. - წეროვანის ქ. - სანავარდოს ქ. - აეიაქიშის ქ. | 4 | 3 | 3 |
| 37 | რ/ც სადგური - თამარ მეფის გამზ. - ვარაზისხევი - მელიქიშვილის ქ. - რუსთაველის გამზ. - ბარათაშვილის ქ. - ქეთევან წამებულის ქ. - შავი ზღვის ქ. - კახეთის გზატკ. - აეროპორტის დასახლება - აეროპორტის შტაბი - აეროპორტი. | 10 | 9 | 8 |
| 38 | მ/ს "დიდუბე" - წერეთლის გამზ. - აგრარული უნივერსიტეტი. | 3 | 2 | 0 |
| 39 | ნუცუბიძის პლატოს მე-4 მ/რ - ნუცუბიძის ქ. - მარიჯანის ქ. - ვაჟა ფშაველას გამზირი - ქავთარაძის ქ. - ყაზბეგის გამზირი - თამარაშვილის ქ. - ჭავჭავაძის გამზირი - მელიქიშვილის ქ. - რუსთაველის გამზირი - ბარათაშვილის ქ. - მ/ს "ავლაბარი" - მ/ს "ისანი" - ქეთევან წამებულის ქ. - მ/ს "სამგორი"-ს ქვედა სადგური - მოსკოვის გამზირი - ჯავახეთის ქ. - სუხიშვილის ქ. - ვარკეთილის დასახლების I-II-III-IV მ/რ, **უკუ არსებული სქემით.** | 10 | 8 | 8 |
| 40 | მ/ს ახმეტელი - მუხიანის დასახლება - თემქის დასახლება - ერისთავის ქ. - წერეთლის გამზ. - აღმაშენებლის გამზ. - თამარ მეფის გამზ. - გმირთა მ-ნი - გამსახურდიას გამზ. - ვაჟა-ფშაველას გამზ. - უნივერსიტეტის მ/კ. | 10 | 6 | 0 |
| 41 | მ/ს "სამგორი" - მოსკოვის გამზ. - მეტალოკონსტრუქც. დასახლება. | 8 | 6 | 6 |
| 42 | რ/ც სადგური - თამარ მეფის გამზ. - კოსტავას ქ. - დოლიძის ქ. | 2 | 1 | 1 |
| 43 | მეტრომშენის დასახლება -უშაკოვის ქ. -მესხეთის ქ. -ყარყარაშვილის ქ. - კახეთის გზატკეცილი - მ/ს "ისანი" - ქ. წამებულის ქ. -მ/ს "ავლაბარი" - ბარათაშვილის ქ. | 5 | 3 | 3 |
| 44 | მუხიანის დასახ.- დუმბაძის გამზ.-თემქის III მ/რ-N5 საშშობიარო-ჩარგლის ქ. N4 საავადმყოფო- გურამიშვილის ქ.-მ/ს"დიდუბე"-წერეთლის გამზ.-წინამძღვრიშვილის ქ.- კონსტიტუციის ქ.- ჯავახიშვილის ქ.-გოგიბერიძის ქ.-ათონელის ქ.-ორბელიანის მ-ნი. უკუ მიმართულებით: გოგიბერიძის ქ. - ჩიქობავას ქ. - მაზნიაშვილის ქ. - წინამძღვრიშვილის ქ. შემდეგ არსებული სქემით. | 10 | 6 | 6 |
| 45 | მ/ს "ახმეტელი" - დუმბაძის გამზირი - ნონეშვილის გამზირი. | 4 | 3 | 3 |
| 46 | დიღმის მასივი(საკოლმეურნეო ბაზარი) - ბელიაშვილის ქ. -წერეთლის გამზ. - ცაბაძის ქ.- აღმაშენებლის გამზ.- თამარ მეფის გამზ. - გმირთა მოედანი - ვარაზისხევი - მელიქიშვილის ქ. - რუსთაველის გამზ. - ბარათაშვილის ქ. - მ/ს "ავლაბარი" - მ/ს "ისანი" - გულიას მ-ნი, გორგასლის ქ. - რუსთავის გზატკეცილი - ქვემო ფონიჭალა. | 15 | 9 | 8 |
| 47 | ნუცუბიძის I მ/რ - მ/ს "გოცირიძე" - ყაზბეგის გამზ. - გამსახურდიას გამზ. - თამარ მეფის გამზ. - რ/ც სადგური. | 4 | 3 | 3 |
| 48 | მ/ს გოცირიძე - ნუცუბიძის II-IV მ/რ | 4 | 3 | 3 |
| 49 | მ/ს"გოცირიძე" - თავაძის ქ. -ნუცუბიძის ქ. -ძონენიძის ქ - ნუცუბიძის პლატო III მ/რ. | 4 | 3 | 3 |
| 50 | ვაზის უბნის II-II' მ/რ - I მ/რ - მ/ს "ვარკეთილი" - ჯავახეთის ქ. - მ/ს "სამგორი" ქვედა - მ/ს "ისანი" - ბალდადის ქ. - გულიას ქ.(ც/ავტოსადგური) - გორგასლის ქ. - თავისუფლების მოედანი. | 8 | 4 | 4 |
| 51 | მ/ს "ახმეტელი" - მუხიანის IVბ მ/რაიონი. | 4 | 4 | 4 |
| 52 | მ/ს "ახმეტელის თეატრი" - გლდანის I მ/რ - III მ/რ. | 5 | 4 | 4 |
| 53 | რ/ც სადგური - თამარ მეფის გამზ. - ნინოშვილის ქ. - აბაშიძის ქ. - არდონის ქ. - ნორიოს ქ. - კუკიის დასახლება. | 4 | 3 | 2 |
| 54 | ქარხანა "შიონი" - დიღმის მასივი - წერეთლის გამზ. - აღმაშენებლის გამზ. - თამარ მეფის გამზ. - რკინიგზის ც/ს | 20 | 14 | 14 |
| 55 | საავიაციო ქარხანა - ბ. ხმელნიცკის ქ. - ჩოლოყაშვილის ქ. - გულიას ქ. ც/ავტოსადგური - გორგასლის ქ. - მეტეხის ხიდი - მტკვრის მარცხენა სანაპირო - ბარათაშვილის ხიდი - თავისუფლების მოედანი - რუსთაველის გამზირი - კოსტავას ქ. - გმირთა მოედანი - ვარაზისხევი - ჭავჭავაძის გამზირი - თამარაშვილის ქ. - მ/ს "გოცირიძე" - ქავთარაძის ქ. - უნივერსიტეტის მ/კორპუსი. **უკუ მიმართულებით**: უნივერსიტეტის მ/კორპუსი - ქავთარაძის ქ. - თამარაშვილის ქ. - ჭავჭავაძის გამზირი - მელიქიშვილის ქუჩა - რუსთაველის გამზირი - ბარათაშვილის ქ. - მტკვრის მარჯვენა სანაპირო - გორგასლის ქ. და შემდეგ არსებული სქემით. | 12 | 8 | 4 |
| 56 | მ/ს სამგორი (ქვედა) - მ/ს "ისანი" - კახეთის გზატკეცილი - ორხევის და თეთრი-ხევშვსის დასახლება | 5 | 3 | 3 |
| 57 | რ/ც სადგური (ბავშვთა სამყარო) - თამარ მეფის გამზ - კოსტავას ქ. - გამსახურდიას გამზ. - ბახტრიონის ქ. - იყალთოს გორა. | 2 | 2 | 1 |
| 58 | მ/ს "ახმეტელი" - ნონეშვილის გამზირი - დუმბაძის გამზირი | 4 | 3 | 3 |
| 59 | რკინიგზის ც/ს - გმირთა მ-ნი - ვარაზისხევი - ჭავჭავაძის გამზ. - არაყიშვილის ქ. - ტაბიძის ქ. - ბელინსკის ქ. - ბარნოვის ქ. - მაჩაბლის ქ. - ფალიაშვილის გამზ. - მელიქიშვილის ქ. - კოსტავას ქ. - გმირთა მოედანი - თამარ მეფის გამზირი - რკინიგზის ც/ს | 3 | 2 | 2 |
| 60 | თემქის IV მ/რაიონი - თემქის III მ/რაიონი - მ/ს "სარაჯიშვილი" - გურამიშვილის გამზირი - მ/ს "დიდუბე" ზედა. | 5 | 4 | 4 |
| 61 | ბაგები - სტუდქალაქი(საერთო საცხოვრებელი) - ჭავჭავაძის გამზირი - მელიქიშვილის ქ. - რუსთაველის გამზირი - თავისუფლების მოედანი - ბარათაშვილის ქუჩა. | 12 | 10 | 8 |
| 62 | თემქის IV მ/რ - გურამიშვილის გამზ. - ცოტნე დადიანის ქ. - გადასასვლელი ხიდი. | 5 | 3 | 3 |
| 63 | მ/ს ახმეტელი - დუმბაძის გამზ. - საბაღე მეურნეობა | 3 | 2 | 1 |
| 64 | აგრარული უნივერსიტეტი - აღმაშენებლის ხეივანი - გაგარინის მოედანი - ვაჟა ფშაველას გამზირი - თამარაშვილის ქ. - ბაგები - ბაგების სტუდქალაქი. | 5 | 4 | 3 |
| 65 | დოლიძის ქ. - კოსტავას ქ. - რუსთაველის გამზირი - თავისუფლების მ-ნი - პუშკინის ქ. - ბარათაშვილის ქ. | 5 | 3 | 3 |
| 66 | ვაგზლის მოედანი - თამარ მეფის გამზირი - გმირთა მოედანი - ვარაზისხევი - ჭავჭავაძის გამზირი - არაყიშვილის ქ. - აბაშიძის ქ. - მცხეთის ქ. - ქობულეთის ქ. - უკან არსებული სქემით. | 4 | 2 | 2 |
| 67 | ორბელიანის მ-ნი - პუშკინის ქ. - რუსთაველის გამზირი - კოსტავას ქ. - სააკაძის მ-ნი - საბურთალოს ქ. - ვ. ფშაველას გამზირი - მ/ს "დელისი" - ნუცუბიძის ქ. - მინდელის ქ. - ჯიქიას ქ. **უკუ მიმართულებით**: ს. ეულის ქ. - ნუცუბიძის ქ. და არსებული სქემით. | 6 | 3 | 3 |
| 68 | რ/ც სადგური - 9 ძმის ქ. | 3 | 2 | 2 |
| 69 | მ/ს "დიდუბის" ქვედა სად.-წერეთლის გამზირი - რობაქიძის გამზ - აღმაშენებლის ხეივან. - მუხათგვერდი | 0 | 1 | 1 |
| 70 | მ/ს"ახმეტელი" - თემქის დასახლება XIმ/რ - ჩარგლის ქ. -მე-4 საავადმყოფო - მ/ს "დიდუბე" - რობაქიძის გამზირი - დიღმის მასივი - ლუბლიანას ქ. - ბავშვთა მე-2 საავადმყოფო - ქარხანა "შიონი" - მ/ს"სარაჯიშვილი" - მ/ს "ახმეტელი". | 6 | 5 | 4 |
| 71 | მე-III მასივი - კახეთის გზატკეცილი - მ/ს "ისანი" - ქეთევან წამებულის ქ. - მ/ს "300 არაგველი" - მ/სადგური "ავლაბარი" - ბარათაშვილის ქ. - თავისუფლების მოედანი - რუსთაველის გამზირი - კოსტავას ქ. - გმირთა მოედანი - ვარაზისხევი - ჭავჭავაძის გამზირი - თამარაშვილის ქ. - უნივერსიტეტის მ/კ. | 8 | 6 | 3 |
| 72 | 31 საავიაციო ქარხანა - ბოგდან ხმელნიცკის ქ. - ჩოლოყაშვილის ქ. - ბალდათის ქ. - მოსკოვის გამზირი - სააქვეო კომბინატი "განთიადი" - ლითონკონსტრუქციების დასახლება. | 5 | 4 | 3 |
| 73 | მ/ს "ახმეტელი" - ქერჩის ქ. - გლდანულა | 2 | 2 | 2 |
| 74 | მ/ს დიდუბე ზედა - ერისთავის ქ - ცოტნე დადიანის ქ - ჩიტაიას ქ. - ჩიქობავას ქ. - ნეკრასოვის ქ. - ზაარბრუკენის მ-ნი - ზაარბრუკენისა და ვირსალაძის ქუჩის გადაკვეთა (ბოლო გაჩერება) | 7 | 5 | 5 |
| 75 | ბარათაშვილის ქ. - პუშკინის ქ. - რუსთაველის გამზირი - კოსტავას ქ. -გამსახურდიას გამზირი - გაგარინის აღმართი - გელოვანის ქ. - მეგობრობის გამზირი - პაიჭაძის ქ. - მიქელაძის ქ. - ბელიაშვილის ქ. - ახმეტელის ქ. - ქ-ნა "შიონი". | 6 | 4 | 4 |
| 76 | მ/ს "სამგორის" ქვედა - მოსკოვის გამზირი - კახეთის გზატკეცილი - ლილოს ბაზრობა. | 2 | 2 | 2 |
| 77 | რ/ც სადგური - გოგოლის ქ. - კლდიაშვილის ქ. - ჩიტაიას ქ. - ზაზიაშვილის ქ. - მარუაშვილის ქ. - სამშვილდეს ქ. - ტუბდისპანსერი.M | 3 | 2 | 2 |
| 78 | რკინიგზის ც/ს - თამარ მეფის გამზ - გმირთა მ-ნი - ვარაზისხევი - მელიქიშვილის ქ. - ჭოველიძის ქ - ჭოველიძის ქ. - გოგებაშვილის ქ - რჩეულიშვილის ქ. - ზემო ვაკის დასახლება | 3 | 2 | 1 |
| 79 | მ/ს "ავლაბარი" - გონაშვილის ქ. - დმანისის ქ. - მარტყოფის ქ. - საინგილოს ქ. - ახალუბნის ქ. - გალაენის ქ. - ნიაბის ქ. | 2 | 1 | 1 |
| 80 | მ/ს "ავლაბარი" - გონაშვილის ქ. - დმანისის ქ. - მარტყოფის ქ. - საინგილოს ქ. - ახალუბნის ქ. - ფშავის ქ. - ბაბისხევის ქ. | 2 | 1 | 1 |
| 81 | ვარკეთილის III - IV მ/რ - ჯავახეთის ქ. - მ/ს "ვარკეთილი" - კახეთის გზატკ. - მ/ს "სამგორი" ზედა სადგური - მ/ს "ისანი" - ქეთევან წამებულის გამზ. - მ/ს "ავლაბარი" - ხეთაგუროვის ქ. - ზაარბრუკენის მ-ნი - აღმაშენებლის გამზ. - წერეთლის გამზ. - რობაქიძის გამზ. - ლუბლიანას ქ. - ქ-ნა "შიონი". | 13 | 10 | 10 |
| 82 | რკინიგზის ც/ს - თამარ მეფის გამზირი - კოსტავას ქ. - გამსახურდიას გამზ. - ვაჟა-ფშაველას გამზ. - თამარაშვილის ქ. - ჭავჭავაძის გამზ. - ბაგები - დაბა წყნეთი - სოფელი ახალდაბა | 3 | 2 | 2 |
| 83 | მ/ს "გოცირიძე" - ნუცუბიძის ქ. - ნუცუბიძის II-IV მ/რ - 1-ლი ავტოპარკი. | 2 | 1 | 1 |
| 84 | დიღმის სასწავლო-საცდელი მეურნეობა - აღმაშენებლის ხეივანი - რობაქიძის გამზ. - წერეთლის გამზ. - "დინამოს" სტადიონი. | 3 | 2 | 2 |
| 85 | ვაკის პარკი - თამარაშვილის ქ. - ყაზბეგის ქ. - გამსახურდიას გამზირი - კოსტავას ქ. - გმირთა მოედანი - ვარაზისხევი - ჭავჭავაძის გამზირი _ vakis parki (wriuli) | 4 | 3 | 3 |

# მუსა ალ-კადიმის ხსოვნისათვის გაღებული უზარმაზარი მსხვერპლი

ბაღდადის ჩრდილოეთ ნაწილში, კადიმიას მეჩეთთან ახლოს, ბოევიკების მიერ ყუმბარმტყორცნებით იერიშის შედეგად წარმოქმნილ ჭყლეტას 700-ზე მეტი პილიგრიმი ემსხვერპლა. დაშავებულთა რაოდენობა 300 კაცს აჭარბებს. ინფორმაცია მომხდართან დაკავშირებით ტელეარხმა "სქაი ნიუს"-მა ერაყის შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილეზე დაყრდნობით გაავრცელა. ერაყის პრემიერ-მინისტრმა, იბრაჰიმ ალ-ჯაფარიმ ქვეყანაში სამდღიანი გლოვა გამოაცხადა.

მილიონზე მეტი შიიტი-მომლოცველი კადიმიას მეჩეთისკენ იმამ მუსა ყაზემის ხსოვნისათვის პატივის მისაგებად მიემართებოდა. 799 წელს გარდაცვლილი მეშვიდე იმამი სწორედ ამ მეჩეთშია დაკრძალული; მას შიიტები მუჰამედის ერთ-ერთ მემკვიდრედ მიიჩნევენ.

მოგვიანებით სააგენტო "როიტერ"-ის მიერ გავრცელებული ინფორმაციით, ბაღდადში მომხდარი უბედური შემთხვევის მსხვერპლთა რაოდენობამ 1000 კაცსაც გადააჭარბა.

მომხდარზე პასუხისმგებლობა საკუთარ თავზე ჯერჯერობით არავის აუღია, მაგრამ როგორც "ბი-ბი-სი" იუწყება, ინციდენტი, შესაძლოა, კონფესიათა შორის ბზარის გაჩენაზეც იყო მიმართული. ამ მოსაზრებას ამყარებს ის ფაქტიც, რომ დღეს იწურება ერაყის ახალი კონსტიტუციის შესახებ ოქტომბერში დაგეგმილი რეფერენდუმისთვის მოქალაქეთა რეგისტრაციის ვადა. კონსტიტუციის პროექტს მხარს უჭერენ შიიტები და ქურთები, ხოლო სუნიტებს, რეფერენდუმის უარყოფითი შედეგებით დამთავრების შემთხვევაში, ჯერ კიდევ აქვთ მისი დაბლოკვის იმედი.

მომხდართან დაკავშირებით უკვე გამოხატეს თანაგრძნობა რიგი სახელმწიფოების ლიდერებმა. სააგენტო "რიანოვოსტ"-ის მიერ გავრცელებული ინფორმაციით, ერაყის ხელისუფლებას უკვე გაუგზავნა სამძიმრის წერილი მეზობელი სირიის საგარეო საქმეთა სამინისტრომ.



**"სირიის ხელისუფლება ხალხთან ერთად ღრმა მწუხარებას გამოთქვამს და სოლიდარობას უცხადებს მოძმე ერაყელ ხალხს. ჩვენ ვიმედოვნებთ, რომ დადგება დღე, როდესაც ერაყი იქნება სტაბილური, უსაფრთხო და განვითარებული სახელმწიფო,"** - ნათქვამია სირიის საგარეო უწყების განცხადებაში.

ერაყელი ხალხისადმი თანაგრძნობა გამოხატა რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტმა, ვლადიმირ პუტინმაც.

"პრეზიდენტმა პუტინმა გულწრფელი თანაგრძნობის სტყვებით აღსავსე ტელეგრამა გაუგზავნა ერაყის პრეზიდენტს ჯალალ თალაბანისა და პრემიერ-მინისტრს იბრაჰიმ ჯააფარის," - იუწყება კრემლის პრესსამსახური.

# ხოდორკოვსკი კენჭს იყრის

*მიხაილ ხოდორკოვსკი, რომელსაც ეკონომიკური დანაშაულის მუხლით ათი წლით თავისუფლების აღკვეთა აქვს მისჯილი, სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატობას უმიზნებს. როგორც რუსი ბიზნესმენის ინტერნეტ საიტზე გამოქვეყნებულ განცხადებაშია ნათქვამი, ხოდორკოვსკი კენჭს 201-ე საუნივერსიტეტო ოლქში იყრის.*

201-ე საუნივერსიტეტო ოლქში დეპუტატის ადგილი ვაკანტურია, რადგან ოლქის ამჟამინდელმა რჩეული მიხაილ ზადორნოვი, რომელიც ასევე "ვნეშტორგბანკის" დირექტორთა საბჭოს წევრია, პარლამენტიდან ბიზნესში საბოლოოდ გადაბარგებას აპირებს. მისი ადგილის დაკავებას იზოლატორში 10 წლით გამომწყვდეული ბიზნესმენი - მიხაილ ხოდორკოვსკი შეეცდება.

რუსეთის ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის ალექსანდრ ვეშნიაკოვის თქმით, ხოდორკოვსკის სრული უფლება აქვს, არჩევნებში მონაწილეობა მიიღოს როგორც კანდიდატმა, ისე ამომრჩეველმა, რადგან მის მიმართ გამოტანილი სასამართლოს განაჩენი ჯერ არ შესულა ძალაში. **"თუ განაჩენი ძალაში შევა, კანდიდატის რეგისტრაცია გაუქმდება,"** - განაცხადა ვეშნიაკოვმა.

ხოდორკოვსკის დეპუტატად წარსადგენად უკვე შეიქმნა საინიციატივო ჯგუფი, რომლის შემადგენლობაშიც ტელეწამყვანი სერგეი დორენკო და ლიბერალი ირინა ხაკამადა შევიდნენ.



"სურვილის ქონა მავნებელი არ არის," - ასეთი იყო დუმის სპიკერის ბორის გრიზლოვის რეაქცია ხოდორკოვსკის გეგმებზე.

"იუკოსის" ყოფილი ხელმძღვანელი აცხადებს, რომ მისი გადაწყვეტილება მერკანტილური მოტივებით არ არის ნაკარნახევი. **"დანგრევის პირას მყოფ პუტინის რეჟიმს ლიდერების ახალი თაობა უნდა შეენაცვლოს, რომლებიც მესამე ათასწლეულში მხოლოდ რუსეთის ბედზე იზრუნებენ,"** - მიიჩნევს ხოდორკოვსკი.

ზოგიერთის აზრით, ხოდორკოვსკისთვის მთავარია, იგი ხალხმა არ მიივიწყოს, წინასაარჩევნო კამპანია კი საუკეთესო ხერხია ხალხისთვის თავის შესახსენებლად.

*24 საათი*

# ქარიშხალი ჩინეთსაც ემუქრება

აშშ-ს შემდეგ საგანგებო მდგომარეობის შემოღებაზე ფიქრობენ დიდ აზიურ სახელმწიფოშიც. ჩინეთის აღმოსავლეთ პროვინციებში ფუძიანსა და ძხეძიანში გუშინ მოსახლეობა ძლიერი ტაიფუნის "თალიმის" გამოჩენის საფრთხის შესახებ გააფრთხილეს. სინოპტიკოსები არ გამორიცხავენ ასევე წყალდიდობისა და მეწყერის საშიშროებასაც. ხელისუფლებამ უკვე მიიღო ყველა ზომა პოტენციური სტიქიური უბედურების ზონაში მოქცეული პროვინციებიდან მოსახლეობის სასწრაფოდ ევაკუაციასთან დაკავშირებით. მეტეოროლოგიური სამსახურის პროგნოზით, ტაიფუნი პირველ რიგში, ტაივანს დაატყდება თავს, სადაც ყველაზე მეტად ჩრდილოეთ ნაწილის დაზარალებას ელიან. სწორედ კუნძულის ჩრდილოეთ ნაწილში მდებარეობს დედაქალაქი ტაიპეი.

"თალიმი"-ს ეპიცენტრში ქარების სიჩქარე საათში 227 კილომეტრს აღწევს. ტაიფუნით გამოწვეული 925 ჰექტოპასკალის ატმოსფეროს წნევის ზემოქმედების რადიუსი 250 კილომეტრია. წყნარ ოკეანეში ქარიშხლები ივნისიდან ოქტომბრამდე აქტიურდებიან და გეზს ჩრდილო-დასავლეთის მიმართულებით იღებენ. ისინი დიდ ზარალს აყენებენ აღმოსავლეთ აზიის ქვეყნებს. "თალიმი" მიმდინარე წელს რიგით მე-13 ქარიშხალია და უკვე მიიღო სახელწოდება "სუპერტაიფუნი".

*იტარ-ტასი*

# გერჰარდ შრიოდერი რუსეთთან მჭიდრო ურთიერთობების მომხრეა

გერმანიის ფედერალური კანცლერი გერჰარდ შრიოდერი დარწმუნებულია, რომ გერმანიამ რუსეთთან ისეთივე მჭიდრო ურთიერთობები უნდა დაამყაროს, როგორც საფრანგეთთან. **"ჩვენი რუსეთთან ურთიერთობის ისტორია იმაზე მეტყველებს, რომ გერმანიის ურთიერთობა ამ ქვეყანასთან ისეთივე მჭიდრო უნდა იყოს, როგორც საფრანგეთთან,"** - განაცხადა კანცლერმა ბერლინში გამართულ სოციალ-დემოკრატების წინასაარჩევნო ყრილობაზე.

კანცლერმა ხაზი გაუსვა, რომ საუბარია არა **"დომინანტის და ქვეშევრდომის მსგავს ურთიერთობებზე, არამედ სუვერენულ სახელმწიფოთა ურთიერთობებზე."**

როგორც გერმანიის კანცლერმა განაცხადა, სოციალ-დემოკრატების და გერმანიის ხელისუფლების საერთაშორისო პოლიტიკა ყოველთვის მშვიდობაზე იყო ორიენტირებული. ამ პრინციპით და ისტორიული გამოცდილების გათვალისწინებით, მისი თქმით, გერმანია კვლავ გააგრძელებს თავისი შიდა პოლიტიკის და უსაფრთხოების პოლიტიკის შენებას.

*24 საათი*


## ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის სამართლის სკოლა

ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტი GEORGIAN AMERICAN UNIVERSITY

ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტი (GAU ) აცხადებს სტუდენტების მიღებას სამართლის სკოლაში, (ლიცენზია N413; აკრედიტაცია N 2-19/334) **სამართლის ბაკალავრის (LLB)**, და პირველად საქართველოში **იურისპრუდენციის დოქტორისა (JD)**, და **ბიზნესისა და სამართლის მაგისტრის ერთობლივი ხარისხის (MBA&JD)** მოსაპოვებლად. **GAU** აფილირებულია ვაშინგტონის და ლონდონის ღია უნივერსიტეტებთან. ჩვენ და პარტნიორები გთავაზობთ მაღალი აკადემიური დონის სასწავლო პროგრამებს, რომელთაც წაუძღვებიან უმაღლესი კვალიფიკაციის ქართველი და უცხოელი სპეციალისტები, რაც უზრუნველყოფს საფუძვლიანი განათლების მიღებას სამართლისა და ბიზნესის სფეროში.

**სამართლის სკოლაში, ბაკალავრიატის (LLB) და იურისპრუდენციის დოქტორის (JD) ხარისხის მაძიებლები შეისწავლიან სამართლის შემდეგ დარგებს:**

1. სამოქალაქო სამართალი
2. ბიზნესის სამართალი:
   ა) კომერციული სამართალი,
   ბ) კორპორაციული სამართალი
   გ) საგადასახადო სამართალი
3. საერთაშორისო სამართალი
4. საკუთრება, მიწის განაწილება და გარემოს დაცვის სამართალი
5. ინტელექტუალური საკუთრების სამართალი, მედია და ტექნოლოგიები
6. სისხლის სამართალი

**GAU** აგრეთვე სთავაზობს მსმენელებს სასერტიფიკატო პროგრამების ფართო სპექტრს სამართლის სფეროში.

**პირველად საქართველოში ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტი განახორციელებს ეფექტური და აღიარებული დისტანციური მეთოდით სწავლებას.** ინტერნეტ ჩართვებით სტუდენტები მოისმენენ ამერიკისა და ევროპის უნივერსიტეტების პროფესორთა ლექციებს და სემინარებს, რაც სტუდენტთა მაღალი კვალიფიკაციისა და კარგი განათლების საწინდარია.

**ღია კარის დღე ჩატარდება 2005 წლის 4 და 11 სექტემბერს, 16:00 საათზე GAU-ს ოფისში.**

**დამატებითი ცნობებისათვის მიმართეთ GAU-ს ადმინისტრატორს თამუნა მატათაშვილს:**

**მისამართი : მეტეხის ქუჩა N22**
**0102, თბილისი საქართველო**
**ტელ: (995-32) 771135; 776360; 273300**
**ვებ-გვერდი: www.gau.ge**

**პირველად საქართველოში! ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტი სტუდენტებს აძლევს საშუალებას მოიპოვოს ერთობლივი ხარისხი ბიზნესისა და სამართლის სფეროში**



## ბანკი "რესპუბლიკა" - შემოქმედებითი საღამოს ორგანიზატორი

2005 წლის 30 აგვისტოს თბილისში, კინოს სახლში კიდევ ერთი საინტერესო შეხვედრა ჩატარდა. ეს იყო დიდი ქართველი რეჟისორის გენო წულაიას ხსოვნისადმი მიძღვნილი საღამო. წულაიას ფილმები "წარსული ზაფხული", "ცეროდენა რაინდები", "ბიჭები იასამნის ქუჩიდან", "მეტიჩარა", "ჩიორა" და სხვები ქართული კინემატოგრაფის შესანიშნავი ნიმუშებია. მათ რეჟისორს საყოველთაო აღიარება და მაყურებლის სიყვარული მოუტანეს.

ღონისძიებაში მონაწილეობა მიიღო "ლასკალას" საოპერო თეატრის სოლისტმა, ცნობილმა ქართველმა მომღერალმა ნინო სურგულაძემ. ფართო საზოგადოებამ იგი სწორედ რეჟისორ წულაიას ფილმით "მეტიჩარათი" გაიცნო. მიუხედავად მცირე ასაკისა, "მეტიჩარაში" განსახიერებულმა როლმა სურგულაძეს უდიდესი აღიარება მოუტანა, რამაც დასაბამი დაუდო მის მართლაც ბრწყინვალე კარიერას.

მიუხედავად უდიდესი კულტურული მემკვიდრეობისა და არანაკლები პოტენციალისა, საქართველოში მსგავსი ღონისძიებები არცთუ ხშირი მოვლენაა. ამის ძირითადი მიზეზი კი ქვეყნის მწირი ეკონომიკური მდგომარეობაა.

ბანკი "რესპუბლიკა" ცდილობს, ხელი გაუმართოს ქართული კულტურის ქომაგთ და ამჯერადაც მოხარულია, რომ საშუალება მიეცა, ფინანსური მხარდაჭერა გაეწია აღნიშნული საღამოს ჩატარებისათვის.

აღსანიშნავია, რომ ბანკი "რესპუბლიკა" მუდამ განსაკუთრებული ყურადღებით გამოირჩევა იმ ღონისძიებებისადმი, რომლებიც კულტურის სფეროში დადებითი მოვლენების წარმართვას ემსახურება.

მსგავს პროექტებში მონაწილეობით ბანკი ცდილობს, წვლილი შეიტანოს ქვეყნის კულტურული ცხოვრების აღორძინებაში და ხელი შეუწყოს საქართველოში ხელოვნების განვითარებას.



## საქართველოს მოქალაქეთა საყურადღებოდ!

**გაცნობებთ, რომ საპატრულო პოლიციის მიერ ავტოტრანსპორტის დარგში ჩადენილ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევებზე დადგენილი ჯარიმების გადახდა შესაძლებელია ბანკ "რესპუბლიკის" ყველა ფილიალში.**

**ბანკ "რესპუბლიკის" ფილიალების მისამართებია:**

**დელისის ფილიალი**
თბილისი, ალ.ყაზბეგის გამზირი 47ა
ტელ: (99532) 312161, 312181
ფაქსი: (99532) 312161
ელფოსტა: info@delisi.republic.com.ge

**სადგურის ფილიალი**
თბილისი, რკინიგზის სადგურის მიმდებარე ტერიტორია
ტელ: (99532) 911117, 911118, 237043
ფაქსი: (99532) 911117, 911118
ელფოსტა: info@sadguri.republic.com.ge

**გლდანის ფილიალი**
თბილისი, ხიზანიშვილის ქ.20
ტელ: (99532) 590770, 590880
ფაქსი: (99532) 590660
ელფოსტა: info@gldani.republic.com.ge

**სამტრედიის ფილიალი**
სამტრედია, რაზმაძის ქ. 2
ტელ: (8 211) 21353, 21157, 21938, 569855, 560740
ფაქსი: (8 211) 560740
ელ-ფოსტა: info@samt.republic.com.ge

**ზუგდიდის ფილიალი**
ზუგდიდი, ზვ.გამსახურდიას გამზ. 34
ტელ: (8 215) 5 00 08, 5 08 08
ფაქსი: (8215)5 08 08, 5 00 08

**ცენტრალური ფილიალის სერვისცენტრი N1**
თბილისი, ჭავჭავაძის გამზირი 13
ტელ: (995 32) 294598, 294599
ფაქსი: (995 32) 779625
ელფოსტა: scenter1@republic.com.ge

**ცენტრალური ფილიალის სერვისცენტრი N2**
თბილისი, საერთაშორისო აეროპორტი
ტელ: (995 32) 433181
ფაქსი: (995 32) 779625
ელფოსტა: ap1@republic.com.ge

**ცენტრალური ფილიალის სერვისცენტრი N3**
თბილისი, ფალიაშვილისი ქ. 33ა
ტელ: (995 32) 912237, 912238, 912239, 912240
ფაქსი: (995 32) 912241
ელფოსტა: info@republic.com.ge

**გლდანის ფილიალის სერვისცენტრი N1**
თბილისი, ლუბლიანას ქ. 18/20
ტელ: (995 32) 261629, 517047
ფაქსი: (995 32) 227566
ელფოსტა: infosc-1@gldani.republic.com.ge

**გლდანის ფილიალის სერვისცენტრი N 2**
თბილისი,დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-13კმ
ტელ: (995 32) 531951, 531952
ფაქსი: (995 32) 227566
ელფოსტა: infosc-1@gldani.republic.com.ge

**თელავის სერვისცენტრი**
თელავი, ნადიკვარის ქ. 13
ტელ: (995 250) 75608, 75607
ელფოსტა: info-telavi@gldani.republic.com.ge

**გორის სერვისცენტრი**
გორი, მოსკოვის ქ. 1
ტელ: (995 270) 70780
ელფოსტა: info-gori@gldani.republic.com.ge

**ზუგდიდის სერვისცენტრი**
ზუგდიდი, პარიზის კომუნის ქ. 1
ტელ: (995 215) 51982

ფაქსი: (8215)5 08 08, 5 00 08
**რუსთავის სერვისცენტრი**
მშენებელთა ქ. 21
ელფოსტა: info-rustavi@gldani.republic.com.ge



## ვიღებთ საბაკალავრო პროგრამებზე

**აკრედიტებული უმაღლესი სასწავლებელი - საქართველოს საზოგადოებრივ მეცნიერებათა უნივერსიტეტი - განათლების სამინისტროს ნებართვით, მიიღებს ეროვნულ გამოცდებში პირველადი შერჩევის შემდეგ დარჩენილ აბიტურიენტებს სპეციალობებზე:**

1. **ისტორია, პოლიტიკა, კულტურა**
2. **ეკონომიკა**
3. **ინფორმაციული ტექნოლოგიები**

**უნივერსიტეტში ლექციებს კითხულობენ ქართველი, ევროპელი და ამერიკელი ლექტორები.**

**სწავლების წლიური ღირებულებაა 1500 ლარი.**

**მისამართი: მ. კოსტავას N77, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის V კორპუსი,**

**ტელეფონი: 33 14 65, მობილური 899 63 15 82**

მოკლედ

## მიკოლი "იუვენტუსიდან" "ბენფიკაში" გადავიდა

ტურინის "იუვენტუსის" იტალიელი თავდამსხმელი ფაბრიციო მიკოლი ამიერიდან ლისაბონის "ბენფიკას" ღირსებას დაიცავს. "როიტერსის" ცნობით, პორტუგალიური კლუბი "ბებერ ქალბატონს", რომლის საკუთრებაცაა მიკოლი, ერთწლიან იჯარაზე შეუთანხმდა.

ამასობაში გუშინ "ლისაბონში" ჩავიდა ჩვენთვის კარგად ნაცნობი ბერძენი ნახევარმცველი გეორგოს კარაგუნისი, რომელიც პორტუგალიელებთან ხელშეკრულების გაფორმებამდე "ინტერში" თამაშობდა.

## "ბრიუგესა" და "რეალის" საიჯარო შეთანხმება პორტილიოსთვის

ბელგიის "ბრიუგეს" ხელმძღვანელობას მადრიდის "რეალთან" მიუღწევია შეთანხმებისთვის, რომლის მიხედვით სამეფო კლუბის ესპანელი თავდამსხმელი ხავიერ პორტილიო ბელგიაში იჯარით ითამაშებს. "როიტერსის" ცნობით, მხარეებს შორის შეთანხმების მიხედვით, "ბრიუგემ" ესპანელი ერთი სეზონით წაიყვანა, ამასთან, მომავალში შეთანხმების გაგრძელების უფლებით.

"იმ შემთხვევაში, თუ პორტილიო იმედებს გაგვიმართლებს, მაშინ ჩვენს ინტერესებში იქნება მისი ტრანსფერის გამოსყიდვა", - ამბობს "ბრიუგეს" სპორტული დირექტორი მარკ დეგრისი.

ესპანელმა თავდამსხმელმა განვლილი სეზონი ასევე იჯარის წესით იტალიაში, "ფიორენტინაში" გაატარა.

## ლოკომოტიველი აშვეთია "ლოკომოტივის" წინააღმდეგ არ ითამაშებს

მოსკოვის "ლოკომოტივის" თავდამსხმელები მიხეილ აშვეთია და მაქსიმ ბუზნიკინი, რომლებიც "როსტოვს" იჯარით ჰყავს აყვანილი, 18 სექტემბერს 23-ე ტურის მატჩში ("როსტოვი" - "ლოკომოტივი") მონაწილეობას არ მიიღებენ.

რუსეთის ჩემპიონის პრესსამსახურის ცნობით, "ამის თაობაზე ორივე კლუბს შორის არსებობს წინასწარი შეთანხმება".

## "რეალს" ოუენის ფულით რამოსის შეძენა სურს

მადრიდის "რეალის" ხელმძღვანელობა განუზრახავს, "ნიუკასლში" გაყიდული ინგლისელი თავდამსხმელის მაიკლ ოუენის სანაცვლოდ მიღებული 15 მილიონი ფუნტი სტერლინგი (27,11 მილიონი დოლარი) დახარჯოს და ხელშეკრულება გაუფორმოს ესპანეთის ნაკრებისა და "სევილიის" მცველს სერხიო რამოსს.

"როიტერსის" ცნობით, 19 წლის ფეხბურთელი, რომელიც ერთნაირად სასარგებლო შეიძლება იყოს ცენტრში და ნახევარდაცვის მარჯვენა ფლანგზე, არ მალავს, რომ "რეალში" თამაშის დიდი სურვილი ჰქონდა. სერხიო რამოსს იმედი აქვს, რომ მისი ახლანდელი კლუბი მადრიდელთა წინადადებას მიიღებს.

"სევილიის" პრეზიდენტმა ხოსე მარია დელ ნიდომ კი განაცხადა, რომ მოთამაშის გაყიდვას არ აპირებს.

"ფლორენტინო პერესმა ("რეალის" პრეზიდენტი) სიტყვა მომცა, რომ მიმდინარე სეზონის დამთავრებამდე რამოსთან ხელშეკრულებას არ გააფორმებს. მე კი მის სიტყვებში ეჭვი არ მეპარება", - ამბობს დელ ნიდო.

## ჟერმეინ ჟენასი "ტოტენჰემშია"

"ტოტენჰემისა" და "ნიუკასლის" კლუბების პრესსამსახურების ცნობით, "ნიუკასლიდან" "ტოტენჰემში" გადადის ნახევარმცველი ჟერმეინ ჟენასი. 22 წლის ფეხბურთელი სამედიცინო შემოწმებისა და კლუბთან პირობების შესათანხმებლად გუშინ ლონდონში ჩავიდა.

ჟენასი "ნიუკასლში" "ნოტინგემ ფორესტიდან" შარშან თებერვალში 5 მილიონ ფუნტ სტერლინგად გადავიდა.

## "ფერარისთვის" ზღვარი მესამე ადგილია

"იტალიის დიდ პრიზამდე" "ფერარის" საჯინიბოს ხელმძღვანელი ჟან ტოდტი შეეცადა შეძლებისდაგვარად დაემშვიდებინა სკუდერიელთა მეტოქეები, როდესაც განაცხადა, რომ იტალიური საჯინიბო სარბოლო უიკ-ენდის შედეგების მიხედვით მესამე ადგილზე უკეთეს შედეგს ვერ მიაღწევს. ტოდტის სიტყვებით, "იმის გათვალისწინებით, რომ ჩვენს განკარგულებაში არ არის საუკეთესო მანქანა და საბურავები, ვეჭვობ, შინაურ "მონცას" ტრასაზე გამარჯვება შევძლოთ...

ახლანდელი მესამე ადგილები კონსტრუქტორთა ჩათვლასა და პირად ჩათვლაში, რომელიც უკავია გუნდსა და მიხაელ შუმახერს, უკვე წარმატებული შედეგია. იმედი მაქვს, კარს მომდგარ "დიდ პრიზზე" მესამეზე უარეს ადგილს არ დავიკავებთ".

რაც შეეხება ჩემპიონატის ლიდერ "რენოს" ესპანელ მრბოლს ფერნანდო ალონსოს, მისი თქმით, "მონცას" ტრასის სირთულე ისაა, რომ მასზე ნაირგვარი მოსახვევებია. ამიტომაც რბოლის მსვლელობა და შედეგები ძნელად გამოსაცნობია. ვეცდები, საკუთარი ოსტატობა ბოლომდე გამოვავლინოო.

## როი-ანტონიო III. ბილეთები არ ჰყოფნით

24 სექტემბერს ატლანტიკ სიტიში დაგეგმილი მძიმე და პირველი საშუალო წონოსანთა ორთაბრძოლების, რომლის უმთავრესი სანახაობაც, შესაბამისად, იქნება ვლადიმირ კლიჩკო - სამუელ პიტერი და მიგელ კოტო - ჯანლუკა ბრანკო, ბილეთები წარმატებით იყიდება. ყოველ შემთხვევაში, ორთაბრძოლათა ორგანიზატორები კმაყოფილი არიან. სამი თვის განმავლობაში დაახლოებით 6 ათასი ბილეთი გაყიდულა, რომელთა ღირებულებაც 50-დან 400 დოლარამდე მერყეობს.

მართალია, ბილეთების გაყიდვით კმაყოფილი არიან ატლანტიკ სიტიში ჩასატარებელ ჩხუბთა მესვეურნი, მაგრამ თუ ტამპადან მოსულ ინფორმაციას შევადარებთ, ატლანტიკ სიტი მასთან აშკარად ჩამორჩება. საქმე ისაა, რომ 1 ოქტომბერს ტამპა უმასპინძლებს როი ჯონს-უმცროსისა და ანტონიო ტარვერის მესამე მატჩს. არენას, რომელზეც როი და ანტონიო შეებრძოლებიან ერთმანეთს, ეწოდება "სენტ პიტ ტაიმს ფორუმი". ეს არენა იმითაა მნიშვნელოვანი, რომ მასზე შინაურ მატჩებს ატარებს ჰოკეის ეროვნული ლიგის (NHL) გუნდი "ტამპა ბეი ლაითინგი". სხვათა შორის, მას სხვაგვარად "ყინულის სასახლედაც" მოიხსენიებენ. ჰოკეის მატჩების გარდა "ყინულის სასახლე" ყოველწლიურად მასპინძლობს 150-მდე სანახაობასაც. დარბაზი 21 500 მაყურებელს იტევს.

"ერთი კვირის განმავლობაში 12 ათასამდე ბილეთი გაიყიდა, ჩვენ კი მათ დაბეჭდვას ვერ ვასწრებთ. ამასთან, ათასობით ადამიანი ბილეთების მოლოდინშია", - აცხადებს, "ფორუმის" ვიცე-პრეზიდენტი შონ ჰენრი.

გულშემატკივრებს კი მიაჩნიათ, რომ როი ჯონს-უმცროსისა და ანტონიო ტარვერის მესამე მატჩი კრივის ისტორიაში შევა. ამიტომ ყველაფერს აკეთებენ იმისთვის, რომ უკვე ლეგენდარულ დაპირისპირებად მონათლული ორთაბრძოლა საკუთარი თვალით იხილონ. ბილეთის ფასი 50-დან 1000 დოლარამდე მერყეობს.

ფეხბურთი

# სფფ-ს უეფა დაეხმარება

მიხეილ აბაიშვილი

უეფას თავისი წევრი ეროვნული ასოციაციებისთვის არაერთი ფინანსური თუ ტექნიკური დახმარების პროგრამა აქვს შედგენილი. დღეის მდგომარეობით, როცა საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას საკმაოდ უჭირს სოლიდური ბიზნესპარტნიორების და სპონსორების გამოძებნა, ამ უწყების არსებობის მთავარი ფინანსური წყარო სწორედ უაფას და ფიფას გრანტებია. ყოველწლიურად სფფ თავისი ფუნქციონირებისთვის უეფასგან 1 მილიონ შვეიცარიულ ფრანკს იღებს გრანტის სახით, ამას ემატება პროგრამა "ჰეთ თრიკის" და პროგრამა "გოლი 2"-ის ფინანსური დახმარებაც, რაც ასევე არანაკლებ სოლიდურ თანხას შეადგენს.

ფინანსურის გარდა, უეფაში შემუშავებული ახალი პროგრამა სხვა სახის დახმარებასაც გულისხმობს. სწორედ ამ პროგრამის წარმოდგენის მიზნით, საქართველოში იმყოფებოდნენ უეფას აღმასკომის წევრი, მალტის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი დოქტორი ჟოზეფ მიფსუდი, უეფას გენერალური მდივნის თანაშემწე მარკუს შტუდერი თავის ასისტენტთან ანიტა კოლომბისთან



უეფას წარმომადგენლობამ ეროვნული ფედერაციის მდგომარეობა შეისწავლა.

ლევან ხერხეულიძის ფოტო

ერთად. დახმარების ახალ პროგრამას "ტოპეგზეკუტივპროგრამ" ეწოდება, რაც უმაღლესი საფეხბურთო ჩინოვნიკების დახმარებას გულისხმობს.

სწორედ ამ საკითხს გუშინ სფფ-ს ოფისში პრესკონფერენცია მიუძღვნეს დოქტორმა მიფსუდმა და საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა ნოდარ ახალკაცმა.

"უეფა ევროპის ყველა ქვეყნის საფეხბურთო ასოციაციას აერთიანებს. ეს ასოციაციები როგორც სტრუქტურული, ისე ორგანიზაციული და ფინანსური თვალსაზრისით ერთმანეთისგან განსხვავდება. ზოგი ასოციაცია ამ მხრივ ძლიერად შეიძლება მივიჩნიოთ, ზოგი საშუალო დონეზეა განვითარებული, ზოგი კი დახმარებას საჭიროებს. უეფამ ეს პროგრამა წამოიწყო სუსტი ასოციაციების გამოსავლენად და იმის განსასაზღვრავად, თუ რა დონის დახმარებას საჭიროებენ", - აღნიშნა ჟოზეფ მიფსუდმა.

ამისთვის უეფას წარმომადგენლობითი დელეგაცია 21 ეროვნულ ფედერაციას ეწვია და იქ არსებული მდგომარეობა შეისწავლა.

"საქართველო ამ ჩამონათვალში ბოლო ქვეყანაა. ჩვენ შევხვდით საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ხელმძღვანელობას და აქ არსებულ პრობლემებზე ხუთი საათი ვისაუბრეთ. ამით პროგრამის პირველი ეტაპი დასრულებულია. მეორე ეტაპზე დამუშავდება მოგროვებული ინფორმაცია და განისაზღვრება დახმარების დოზა. შემდეგ უეფას შტაბბინაში მივიწვევთ შესაბამისი ფედერაციების ხელმძღვანელობებს და მათთვის სემინარებს ჩავატარებთ", - განაცხადა მიფსუდმა.

"ეს სემინარები მნიშვნელოვანი იქნება საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ორგანიზაციული და სტრუქტურული საქმიანობის უეფას შესაბამის ნორმებთან მოსაყვანად. პროგრამა მილიონებიან დანახარჯებს უკავშირდება, თუმცა, უეფა ამ დანახარჯებს ნამდვილად არ ერიდება, რადგან მხოლოდ ასე შეიძლება ძლიერი რეგიონული ფედერაციების შექმნა, რაც, თავის მხრივ, მომავალშიც უზრუნველყოფს ფეხბურთის წამყვან როლს ევროპულ და მსოფლიო სპორტში", - ასეთი გახლავთ მიფსუდის მიერ პრესკონფერენციაზე გამოხატული უეფას ოფიციალური პოზიცია.

ჩოგბურთი

# მარია შარაპოვა: "კორტის ფერს მნიშვნელობა არა აქვს"

პირველი გვერდიდან

**- არ განიცდით იმ უჩვეულო გრძნობას, რომ ერთი კვირის წინათ პირველი ჩოგანი იყავით, ახლა კი პირველობა ლინდსის ეკუთვნის?**

- თქვენ იცით, რომ თუ შემიძლია მსოფლიო რეიტინგს ერთი საათით ან ერთი კვირით მაინც ჩავუდგე სათავეში, ეს ჩემთვის უდიდესი მიღწევაა, რომლითაც უზარმაზარ სიამოვნებას განვიცდი.

**- ტრავმის გამო თითქმის ორი კვირა არ გამოჩენილხართ კორტებზე. ახლა როგორ გრძნობთ თავს?**

- ჯერჯერობით კარგად. ორი კვირის განმავლობაში ფიზიოთერაპევტთან დავდიოდი. დავესწარი ლოს ანჯელესისა და ტორონტოს ტურნირებს. აშშ-ის ღია პირველობისთვის მზადება კი ადრე დავიწყე. ასე რომ, სათამაშო პრაქტიკა მყოფნიდა. თუმცა, პირველივე წრეში ჩემგან ძალიან კარგად თამაშს არ უნდა ელოდოთ. ყველაფერი ეტაპობრივად წარიმართება. ფიზიკურად კარგად ვარ მომზადებული. ამაში სულ მალე თვითონ დარწმუნდებით.

**- თქვენ დიდ დროს უთმობთ მოწოდებას და ხაზიდან ბურთის დარტყმას. პროგრესს ამჩნევთ?**

- რა თქმა უნდა. ეს ელემენტები ძალიან კარგად გამომდის.

**- ჩოგბურთის ბევრ მოყვარულს ძირითადად ქალთა ჩოგბურთი აინტერესებს, მიაჩნიათ, რომ ისინი უფრო ღიად და სანახაობრივად თამაშობენ. რას იტყვით ამასთან დაკავშირებით?**

- თქვენ ფიქრობთ, რომ ქალები უფრო ღიად თამაშობენ?

**- დიახ, დღეს ასე ფიქრობენ მსოფლიოში.**

- ჩემი აზრით, ასე თამაშობს პირველი ოცეულის უმრავლესობა, მაგრამ ჩოგბურთი თანდათან სულ უფრო ხისტი ხდება. თუმცა, ხომ იცით, რომ ამას ნებისმიერი ტურნირის საშეჯიბრო სულისკვეთება იწვევს. პირადად მე შემტევი სტილი მომწონს. თუ ტურნირის მოგება გინდა, ყველა მეტოქეს უნდა აჯობო, მათ შორის მსოფლიო რეიტინგის ლიდერებსაც. სხვა შემთხვევაში, ჩემი აზრით, აქ ჩამოსვლა არც ღირს.

**- აშშ-ის ღია პირველობა სხვა ტურნირებისგან განსხვავდება?**

- ამ შეჯიბრებათა ატმოსფერო, რასაკვირველია, განსაკუთრებულია. ამას აქ ჩამოსული ნებისმიერი ჩოგბურთელი გრძნობს. აქ შესანიშნავი გულშემატკივრები არიან. თუმცა, ამასთან, ჩვენ მთელი მსოფლიოს მასშტაბით ვმოგზაურობთ და სხვადასხვა შეჯიბრებაში ვმონაწილეობთ. ატმოსფერო ყველგან სხვადასხვაგვარია და ჩვენ ყველგან კარგად ვგრძნობთ თავს.

**- შარშან აშშ-ში უიმბლდონის გამარჯვებულის სტატუსით ჩამოხვედით. რამდენად შეიცვალა თქვენი შეხედულება წელს ტურნირის მოგებასთან დაკავშირებით?**

- დიახ, შარშან მე უიმბლდონი მოვიგე. მაშინ ვფიქრობდი, რომ ეს ჩემი ბოლო გამარჯვება იქნებოდა სეზონში "დიდი სლემის" ტურნირებზე. ახლა სულ სხვანაირად ვფიქრობ. რა თქმა უნდა, გამოცდილება დამიგროვდა, თუმცა, უიმბლდონის შემდეგ აზრზე მოსასვლელად რამდენიმე თვე მჭირდება. სწორედ ამიტომ ვერ ვაჩვენე შარშან აქ საუკეთესო თამაში.

**- ცოტა ხნით წარსულში დავბრუნდეთ: ფიქრობდით, რომ ასე მოკლე დროში მოახერხებდით მსოფლიოს პირველი ჩოგნის სტატუსის მოპოვებას?**

- მე ამას იმაზე ადრე მივაღწიე, ვიდრე ვვარაუდობდი. ორისამი წლის წინათ ამის წარმოდგენაც არ შემეძლო.

**- მართალია, რომ თქვენი სიმაღლე 188 სანტიმეტრია და კიდევ იზრდებით?**

- ვფიქრობ, რომ ჩემი სიმაღლე ცოტა ნაკლებია, სადღაც 186-ის ფარგლებში.

**- თქვენ თქვით, რომ არ ელოდით ასეთ სწრაფ წარმატებას. თქვენს შესაძლებლობებში ადრე ეჭვი გეპარებოდათ? თუ ასე იყო, როგორ ებრძოდით მას?**

- ყოველთვის არის დღეები, როცა ეჭვი გეპარება, რომ სამუშაოს კარგად ასრულებ. ასეთი დღეები მეც მქონდა. ხანდახან ეს ყოფით საკითხებსაც ეხება. თუმცა, ეს ყველაფერი ცხოვრებისეული განცდები და სირთულეებია. ჩვენი ამოცანაა ამ განცდებს ვაჯობოთ და საკუთარი ძალების რწმენა არ დავკარგოთ. ახლა ვიცი, რომ როცა მუშაობა არ მინდა, ვიხსენებ, რას მივაღწიე და რის ფასად.

**- ასეთ მომენტებში კორტზე გამოსასვლელად და სავარჯიშოდ მზად ხართ?**

- რა თქმა უნდა. მე ხომ ვიცი, რომ სრულყოფილებას საზღვარი არა აქვს. თამაში ყოველთვის უნდა დახვეწო. იმ შემთხვევაშიც კი, თუ ეჭვი გეპარება.

**- როგორ უნდა ითამაშოთ, რომ ამ საფარზე გაიმარჯვოთ?**

- ასეთი რეცეპტის მოფიქრება ძნელია. უბრალოდ, საკუთარი თამაში უნდა წარმოადგინო. რა თქმა უნდა, უნდა შეცვალო თამაშის სტილი იმის მიხედვით, თუ როგორია კორტის საფარი. მეჩვენება, რომ წელს კორტების საფარი უფრო სწრაფია, ვიდრე შარშან იყო. ასე რომ, ეს მცირე უპირატესობას მომანიჭებს. ამასთან, მნიშვნელოვანია კარგი მოწოდება. ამ შემთხვევაში უფრო მეტი ძალა დაიზოგება.

**- თქვენთვის კორტის ფერს მნიშვნელობა აქვს, ვთქვათ, ბურთი კარგად ჩანს?**

- ლურჯ ფერს გულისხმობთ?

**- დიახ. ეს გეხმარებათ, ბურთი კარგად შეამჩნიოთ?**

- არა. ვფიქრობ, შესანიშნავად ვითამაშებდი, კორტის საფარი წითელი ან შავი რომ ყოფილიყო.

**- იგრძენით დამატებითი პასუხისმგებლობა იმით, რომ მსოფლიოს პირველი ჩოგანი გახდით?**

- მე უკვე ვთქვი, რომ პირველსა და მეორე ჩოგნებს შორის დიდი განსხვავება არ არის. კარგია, როცა მსოფლიოს საუკეთესო ჩოგბურთელი ხარ. დამატებით პასუხისმგებლობას ვერ ვგრძნობ. უბრალოდ, ამას აღვიქვამ, როგორც ფაქტს: "მე პირველი ნომერი ვარ".


## მიიღეთ განათლება GAU-ში!

ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტი
GEORGIAN AMERICAN UNIVERSITY

ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტი (GAU ) აცხადებს სტუდენტების მიღებას **ბიზნესის სკოლაში,** (ლიცენზია N 413; აკრედიტაცია N 2-19/334) **ბიზნესის ბაკალავრის (BBA), ბიზნესის მაგისტრისა (MBA),** და **პირველად საქართველოში ბიზნესისა და სამართლის მაგისტრის ერთობლივი ხარისხის (MBA&JD) მოსაპოვებლად.**

**GAU** აფილირებულია ვაშინგტონისა და ლონდონის ღია უნივერსიტეტებთან. ჩვენ და პარტნიორები გთავაზობთ მაღალი აკადემიური დონის სასწავლო პროგრამებს, რომელთაც გაუძღვებიან უმაღლესი კვალიფიკაციის ქართველი და უცხოელი სპეციალისტები, რაც უზრუნველყოფს საფუძვლიანი განათლების მიღებას.

ბიზნესის სკოლის სტუდენტები მიიღებენ სპეციალიზაციას შემდეგი მიმართულებებით:

**1. საბუღალტრო აღრიცხვა**
**2. ფინანსები**
**3. მარკეტინგი**
**4. მენეჯმენტი**
**5. რისკების მართვა/საბანკო საქმე /სადაზღვევო საქმე**
**6. საერთაშორისო ბიზნესი**

**GAU** აგრეთვე სთავაზობს მსმენელებს სასერტიფიკატო პროგრამების ფართო სპექტრს.

**პირველად საქართველოში ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტი განახორციელებს ეფექტური და აღიარებული დისტანციური მეთოდით სწავლებას.** ინტერნეტ ჩართვებით სტუდენტები მოისმენენ ამერიკისა და ევროპის უნივერსიტეტების პროფესორთა ლექციებს და სემინარებს, რაც სტუდენტთა მაღალი კვალიფიკაციისა და კარგი განათლების საწინდარია.

**ღია კარის დღე ჩატარდება 2005 წლის 4 და 11 სექტემბერს, 16:00 საათზე GAU-ს ოფისში.**

**დამატებითი ცნობებისათვის მიმართეთ GAU-ს ადმინისტრატორს თამუნა მატათაშვილს:**
**მისამართი : მეტეხის ქუჩა N22**
**0102, თბილისი საქართველო**
**ტელ: (995-32) 771135; 776360; 273300**
**ვებ-გვერდი: www.gau.ge**

**პირველად საქართველოში! ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტი სტუდენტებს აძლევს საშუალებას მოიპოვოს ერთობლივი ხარისხი ბიზნესისა და სამართლის სფეროში**



## ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი საქპატენტი აცხადებს აუქციონს

1. ავტომანქანა "ГА З 31-029"; სახ/ნომერი ACY709; გამოშვების წელი - 1995; ძრავა - N44145; ძარა - NS0392734; გადაცემათა კოლოფი - მექანიკური; ფერი - შავი; მდგომარეობა - კარგ მდგომარეობაში. გარბენი: 95824 კმ; საწყისი ფასი 2600 აშშ დოლ.

2. ავტომანქანა "WV T-1" ბუსი; სახ/ნომერი GGG-549; საიდენტიფიკაციო კოდი: WV2ZZZ25ZKH087188; გამოშვების წელი - 1989; ფერი - ღია ლურჯი; ძრავის მოცულობა - 1,6 (ჟიგული 2106) ძრავა - N5335230; გადაცემათა კოლოფი - მექანიკური; მდგომარეობა - კარგ მდგომარეობაში. გარბენი: 194000კმ; საწყისი ფასი 1200 აშშ დოლ.

3. ავტომანქანა "ВАЗ -2107"; სახ/ნომერი STS-079; გამოშვების წელი - 1999; ფერი - თეთრი; ძრავის მოცულობა - 1,5; ძრავა - N5528884; ძარა - NX1259675 გადაცემათა კოლოფი - მექანიკური; მდგომარეობა - კარგ მდგომარეობაში. გარბენი: 90000კმ; საწყისი ფასი 1500 აშშ დოლ.

აუქციონში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ:

საქართველოს ან უცხო ქვეყნის ფიზიკურ ან იურიდიულ პირებს განცხადების საფუძველზე.

**აუქციონში მონაწილეობა უფასოა.**

აუქციონში გამარჯვებული მყიდველი ვალდებულია პროცედურის დამთავრებისთანავე გადაიხადოს შესასყიდი ობიექტის სარეალიზაციო ფასის 20%, ხოლო დავალიანება მთლიანად დაფაროს, აუქციონის შედეგების ოქმის გაფორმებიდან, არა უგვიანეს 10 კალენდარული დღისა. თანხის გადახდა ხდება ეროვნულ ვალუტაში, გადახდის მომენტისათვის საქართველოს ეროვნული ბანკის კურსით.

ობიექტის საბოლოო გადაცემა მოხდება მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე.

აუქციონში მონაწილეობის მსურველთა განცხადების მიღება მიმდინარეობს ყოველ დღე შაბათ-კვირის გარდა 2005 წლის 1სექტემბრიდან 2005 წლის 3 ოქტომბრის ჩათვლით 10 სთ-დან 16 სთ-მდე მისამართზე: ი. ჭავჭავაძის გამზირი I ჩიხი N6.

აუქციონი გაიმართება 2005 წლის 4 ოქტომბრის 16 საათზე. მისამართი: ი. ჭავჭავაძის გამზირი I ჩიხი N6.

აუქციონში გამარჯვებულის გამოვლენის კრიტერიუმია ყველაზე მაღალი ფასის დასახელება. სავაჭრო ბიჯი 100 აშშ დოლარი.

**დამატებითი ინფორმაცია ობიექტის შესახებ შეგიძლიათ მიიღოთ მისამართზე:** ი. ჭავჭავაძის გამზირი I ჩიხი N6.**, ტელ.: 24 10 31, ფაქსი: 24 10 31 .**

# გადატრიალება მინესოტაში

## მოკლე კომენტარი წარსულზე

მელორ სტურუა
საქ. კორ. აშშ-ში

"გადატრიალება მინესოტაში" დაიწერა 1991 წლის აგვისტოს ბოლოს, ასე ვთქვათ ცხელ კვალზე. მე მასში არ შემიცვლია არც ერთი სიტყვა, არც ერთი მძიმე. არ შეიძლება გადაწერო როგორც ისტორია, ასევე მისი ემოციური აღქმა. რა თქმა უნდა, პუტჩისტებზე გამარჯვება მაშინ მე მავსებდა რუსეთის მომავლისადმი უდიდესი ოპტიმიზმით, რაც, როგორც შემდეგ გამოირკვა, ნაადრევი იყო. გადახარშა რა კომუნისტური პუტჩი, საბჭოთა კავშირი და შემდეგ რუსეთი შეეჯახა, და ახლაც ასე გრძელდება, უამრავ მცოცავ პუტჩებს და "პუტჩისტებს", რომლებიც აძლიერებენ იქაური დემოკრატიის ვირტუალურ ხასიათს. მაგრამ, მაშინ, 1991-ში, გვეჩვენებოდა, რომ ჩვენ "ყველაფერი შეგვიძლია". ვინ იცის, შეიძლება კიდევაც შეგვეძლო, მაგრამ ხელიდან გავუშვით ისტორიის მიერ მოცემული უნიკალური შანსი. ძალიან სიმბოლურია: ძერჟინსკის ძეგლი ლუბიანკაზე ჩამოაგდეს, მაგრამ პოსტამენტი დატოვეს, და ამით შეგვახსენეს, რომ ჰიდრას თავები ეზრდება...

ტექსტის რამოდენიმე განმარტებითი შენიშვნა. ძალაუფლების ხელში ჩაგდების შემდეგ ხუნტამ გაუგზავნა მიმართვა ყველა იმ ქვეყნის ხელისუფლება, რომელთანაც საბჭოთა კავშირს ჰქონდა დიპლომატიური ურთიერთობა. გზავნილის აზრი მდგომარეობდა ხუნტის, როგორც ქვეყანაში ახალი უმაღლესი ძალაუფლების ლეგიტიმიზაციაში. რბილად რომ ვთქვათ, მაშინდელი საგარეო საქმეთა მინისტრის, ა.ბესმერტნიხის უხერხემლობის გამო, ხუნტამ თავისი გზავნილი გაუგზავნა ყველა საბჭოთა საელჩოს საზღვარგარეთ და უბრძანა, რომ მიეტანათ დანიშნულებისამებრ. მხოლოდ საბჭოთა კავშირის ელჩმა შვეციაში, ვ.პანკოვმა არ შეასრულა ბრძანება (პუტჩის ჩახშობის შემდეგ იგი დაინიშნა ბესმერტნიხის ნაცვლად საგარეო საქმეთა მინისტრად). გზავნილი მიიღო საელჩომ ვაშინგტონში. მაშინ მე ავაფეთქე საელჩოს ტელეფონები, ვარწმუნებდი, რომ არ გადაეცათ დოკუმენტი თეთრ სახლსა და სახელმწიფო დეპარტამენტში. მაგრამ ელემენტარულმა ცხოველურმა შიშმა დიპლომატებს გონება დაუბნელა.

მერე დავიწყე ვაშინგტონის რაჟუ-ის კორპუნქტში რეკვა, ვარწმუნებდი მის ხელმძღვანელს, რომ არ შეეტყობინებინათ მოსკოვის გაზეთებისთვის ხუნტის დოკუმენტის აშშ-ს ხელისუფლებისთვის გადაცემის ამბავი. მაგრამ აქაც არაფერი გამომივიდა. ჩემი კოლეგა რაჟუ-იდან (არ დავასახელებ მის გვარს) ცრემლიანი ხმით მეუბნებოდა: "გაიგე, არ შემიძლია... ოჯახი, სამსახური...". ტელეფონით ვიპოვე ჟენია ევტუშენკო, რომელიც სადღაც ამერიკაში ასწავლიდა. შევთავაზე, რომ მასმედიის საშუალებით მიგვემართა ამერიკელი ხალხისთვის, მაგრამ სამოციანელების ლიდერმა თავიდან მომიშორა. უკვე პუტჩის ჩახშობის შემდეგ, როდესაც ჩავფრინდი ვაშინგტონში და შევხვდი მათ, ვისი ტელეფონებიც აფეთქებული მქონდა, მათგან დაახლოებით ასეთი რამ მოვისმინე: "ხომ ხედავ, ჩვენ გავიმარჯვეთ მელორ, შენ კი ნერვიულობდი!" ამავე დროს მათ სახეზე უხერხულობის, და მით უმეტეს გაოგნების, ნატამალიც არ ჩანდა. ისინი ნამდვილი სიხარულით ბრწყინავდნენ.

დაბოლოს. იმ დღეებში "ნიუ იორკ თაიმსში" გამოქვეყნებულ სტატიაში მე მძაფრად ვაკრიტიკებდი გორბაჩოვს, რომელიც რეაქციულ ძალებთან თავისი მუდმივი დათმობებით, დემოკრატიული გარდაქმნების გატარების გადაუწყვეტელობით, ობიექტურად ხელი შეუწყო ხუნტას. არ მახსოვს, როგორი სათაური დავარქვი სტატიას, მაგრამ, როდესაც "თაიმსის" რედაქციამ საბოლოო ტექსტი მაჩვენა, სათაური ასეთი იყო: "ხუნტის მეცხრე წევრი". ეს აშკარა გადაჭარბება იყო. მე დავრეკე რედაქციაში და შევთავაზე უფრო ზუსტი ვარიანტი. "უკვე გვიანაა, - მიპასუხეს - ტირაჟი დაბეჭდილია. გაზეთი იყიდება". ასე რომ მაპატიეთ, თუ შეგიძლიათ, მიხაილ სერგეევიჩ!

არასოდეს, მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, როდესაც ჩვენ გვერდი-გვერდ ვიბრძოდით ჰიტლერის ფაშიზმის წინააღმდეგ, ამერიკის შეერთებული შტატების მხრიდან ჩვენი ქვეყნისადმი სიმპათია ასე დიდი არ ყოფილა, როგორც მოსკოვში რეაქციული პუტჩის დღეებში. დიახ, არაფერი არ აახლოებს ხალხს უფრო ძლიერად, როგორც ერთობლივი ბრძოლა ფაშიზმთან. არ აქვს მნიშვნელობა, როგორი შეფერილობისაა - ყავისფერი, წითელი, თუ რომელიმე სხვა.

მე ახლა არ მინდა, ვწერო "ზოგადად", მოვიყვანო სახელმწიფო თუ პოლიტიკური მოღვაწეების ციტატები გაზეთებიდან და ჟურნალებიდან, მოკლედ დავწერო ყოველდღიური კორესპონდენცია ჩვეულებრივი კომენტარებით, თუმც, მერწმუნეთ, ციტატებიც და გამონათქვამებიც უამრავია. ახლა მე მინდა მოვყვე მხოლოდ ის, რაც თვითონ ვნახე, მოვისმინე და განვიცადე.



*მოსკოვი, 1991 წლის აგვისტო.*

18 აგვისტოს, თითქმის შუაღამისას ჩემს ბინაში მინეაპოლისში, მინესოტას შტატში, გაისმა ზარი. რეკავდნენ აშშ-ს ყველაზე პოპულარული რადიოსადგურიდან - ნაციონალური საზოგადოებრივი რადიოდან. მათ მითხრეს, რომ ამ წუთებში მოსკოვიდან მიიღეს ახალი ამბავი გადატრიალების, განსაკუთრებული მდგომარეობის კომიტეტის შექმნის და პრეზიდენტ გორბაჩოვის დაპატიმრების შესახებ. კოლეგებმა რადიოდან მკითხეს, თანახმა ვარ თუ არა ამის თაობაზე აზრი გამოვთქვა ეთერში. დიახ, თანახმა ვარ, ვუპასუხე მე.

ზარი ნაციონალური საზოგადოებრივი რადიოდან მხოლოდ პირველი მერცხალი იყო. მას მოჰყვა ზარების მთელი კასკადი. რეკავდნენ პრაქტიკულად ყველა ტელეკომპანიიდან, ჩვენთან პოპულარული CNN-ის ჩათვლით, ნიუ იორკის, ჩიკაგოს, ვაშინგტონის, ლოს ანჯელესის, ტორონტოს, მონრეალის ვანკუვერის რადიოსადგურებიდან, დარეკეს ლონდონიდან - ბი-ბი-სის სხვადასხვა რედაქციებიდან (ჯერ გაცნობაც ვერ მოვასწარი, უკვე მოვასწარი წაჩხუბება ბი-ბი-სელ ჟორეს მედვედევთან, რომელიც თავგამოდებით იცავდა საბჭოთა კავშირის, როგორც "სუპერსახელმწიფოს" ერთიანობას). დარეკეს არგენტინიდან, ბრაზილიიდან და იტალიიდანაც...

განსაკუთრებით გამიხარდა "ამერიკის ხმის" მიმომხილველის, ვოლოდია მატლინის ზარი. რა თქმა უნდა, მე პატივს ვცემ მსმენელს ვანკუვერსა და სასკაჩევანში, მაგრამ ყველაზე მეტად მინდოდა, რომ ჩემი ხმა გაეგოთ სამშობლოში, სადაც როგორც პუტჩისტები, ისე წინააღმდეგობის ძალები უკვე ადგენდნენ სიებს "ვინ ვინ არის". სხვათა შორის, ვინც დამირეკა, ყველა კითხულობდა, ჩემი გამოსვლა ზიანს ხომ არ მომიტანდა "იქ". ამ "დაკითხვებში" ძველი დროისგან განსხვავებით არ ყოფილა არც დაცინვა და არც ფეხის წამოდება. მათში იგრძნობოდა ნაცნობი თუ უცნობი კოლეგების გულწრფელი ღელვა.

პუტჩის პირველ დღეს 15 ინტერვიუ მივეცი ტელე-რადიო სადგურებს და გაზეთებს. ერთი კვირის განმავლობაში, 15-25 აგვისტოს - 52, მათ შორის ორიგინალური სტატიები "ნიუ იორკ თაიმსში", "ქრისჩენ საიენს მონიტორში" "მინეაპოლის სთარ-ტრიბუნში", "ატლანტა ჯორნალ კონსტიტუშნსა" და აშშ-ს სხვა გაზეთებში.

რატომ ერგო ერთ ადამიანს ასე ბევრი? იმიტომ, რომ ჩვენი ჟურნალისტური კორპუსი ამერიკაში სამარცხვინოდ მოიქცა. მარტო მე არ მირეკავდნენ. ურეკავდნენ ყველას, მაგრამ ვერავინ, ან თითქმის ვერავინ (აღვნიშნავ ყოველ შემთხვევისთვის) გაბედა დაეკავებინა განსაზღვრული პოზიცია. ჩვენი ჟურნალისტები ისე მოიქცნენ, როგორც მიულებელია ჩვენი პროფესიისთვის - აცდიდნენ. ჩემი მცდელობა, გამომეფხიზლებინა ზოგიერთი კოლეგა, უშედეგოდ დამთავრდა. ისინი სრულ პროსტრაციაში იმყოფებოდნენ. ერთ-ერთმა მათგანმა კი გულწრფელად მითხრა:

- შენ რა გიჭირს. შენ ყველა ანტისაბჭოთად და ანტიკომუნისტად გთვლის. შენ არაფერს კარგავ.

მე მინდოდა მეკითხა, ის რას დაკარგავდა, მაგრამ გადავწყვიტე გავჩუმებულიყავი.

ჩვენი ვაშინგტონელი დიპლომატებიც არ იყვნენ კარგ დღეში, მათ გაუჭირდათ ორიენტირება პუტჩისტებს, ბესმერტნიხსა და გორბაჩოვს შორის. საინფორმაციო საქმეების მრჩეველთან ჩემი ზარი, საბჭოთა კოლონიის შეკრებისა და შექმნილი სიტუაციის განხილვის წინადადებით, უპასუხოდ დარჩა. კოლეგების და დიპლომატების პასიურობით (თუ უფრო მეტით არა) გამოწვეული გალიზიანება, კვლავ გადმოვანთხიე "ამერიკის ხმაში". ყირიმში, შინატყვეობაში მყოფი პრეზიდენტი თურმე უსმენდა "ხმებს" და მათი საშუალებით იგებდა, თუ რა ხდებოდა ქვეყანაში და მსოფლიოში. ტყვეობის 72 საათის განმავლობაში მან გაიარა "ჩვეულებრივი დისიდენტის" აჩქარებული მომზადება - დაწყებული "ხმების" მოსმენით კონდრაბანდული საიდუმლო ვიდეოჩანაწერებით და პუტჩისტების მხრიდან მორალური პრესინგით დამთავრებული. როდესაც ამის შესახებ გავიგე, მე ჩემდაუნებურად გამახსენდა მამის სიტყვები: "შენი თავი რომ გამოწრთო ნამდვილ ადამიანად, საჭიროა ერთი დღე მაინც იჯდე ციხეში."

ჩემს თავზე ტალღასავით დატეხილ ეთერთან მარტო გამკლავება, რა თქმა უნდა, შეუძლებელი იყო. და ამ დროს ჩემს დასახმარებლად მოვიდა აწ გარდაცვლილი ვიცე-პრეზიდენტის, ჰუბერტ ჰემფრის სახელობის საზოგადოებრივ მეცნიერებათა ინსტიტუტი, სადაც დღემდე ვასწავლი. ორგანიზებულ იქნა რაღაც შტაბის მსგავსი, რომელმაც თავის თავზე აიღო აუცილებელი "ინფრასტრუქტურის" შექმნის და გამოყენების ამოცანა. ვსარგებლობ რა შემთხვევით, მინდა მადლობა გადავუხადო ყველა ჩემ მინეაპოლისელ შტაბისტს: ორ ახალგაზრდა ბიჭს - შავკანიან დუგლასს, რომელიც სპრინტერს ჰგავდა და გრძელთმიან ქერა როდნის, რომელიც თითქმის 24 საათის განმავლობაში პასუხობდა ტელეფონებს და უზრუნველყოფდა კავშირს; დეკანატის თანამშრომელს, ჯოდი ლიჰის, რომელიც კომპიუტერზე ბეჭდავდა ჩემს სტატიებს; დეკანის მდივანს, კეტის, რომელიც ჩემი ავტოდისპეტჩერი გახდა (მაშინ მე ვიყავი უცხენო) და რომელიც მე ტრანსპორტით უზრუნველმყოფდა. მძღოლის როლს ასრულებდნენ ინსტიტუტის პროფესორები და სტუდენტები. ისინი ადგენდნენ გრაფიკს და მორიგეობით დავყავდი ტელე და რადიოსტუდიებში. ხალხი არა პირადად მე მეხმარებოდა, არამედ ჩემი საშუალებით ახალგაზრდა დემოკრატიას, რომელმაც სამკვდრო-სასიცოცხლო ომი გამოუცხადა გაქვავებულ დიქტატურას.

რა თქმა უნდა, ყველაზე ახლო ურთიერთობა ჩამომიყალიბდა ადგილობრივ საინფორმაციო საშუალებებთან - ტყუპი ქალაქების, მინეაპოლისის და სენტპოლის ტელევიზიასთან, რადიოსთან და პრესასთან. ჩემი სამუშაო დღე დაახლოებით ასე გამოიყურებოდა:

ყოველ დილით, 7 საათზე მე შემომივლიდა აშშ-ს ყოფილი ვიცე-პრეზიდენტი, აქაურ მხარეში დაბადებული უოლტერ მონდეილი. ჩვენ მივდიოდით მინესოტას შტატის ყველაზე მსხვილ რადიოსადგურში WCCO. აქ ჩვენ ერთი საათის განმავლობაში კომენტარს ვუკეთებდით საბჭოთა კავშირიდან მიღებულ ბოლო ცნობებს და ვპასუხობდით რადიომსმენელების შეკითხვებს.

მე მეგონა, რომ ხელში მეჭირა და მესმოდა მოსკოვის დრამატული ახალი ამბებით გამოწვეული ამერიკის გახშირებული მაჯისცემა. თურმე უზარმაზარი კეთილი ნების რეზერვუარი - დაწყებული გაგების, გარკვევის სურვილით, უბრალო ადამიანური თანაგრძნობით დამთავრებული - ამერიკაში შენარჩუნებული იყო, მიუხედავად "ცივი ომის" წლებისა და მისი თანმხლები ყველა "მშვენიერებებით" ორივე მხრიდან, და განსაკუთრებით ჩვენი მხრიდან.

მინესოტას შტატში, სადაც ჩამოყალიბდა ახლო ურთიერთობები საბჭოთა კავშირთან (მჭიდრო ეკონომიკური კავშირები), ეს განსაკუთრებულად იგრძნობოდა. მახსოვს, პირველივე შეხვედრაზე მონდეილმა, აშკარად აღელვებული ხმით, როგორ მკითხა:

- მელორ, თქვენ იცით რომ ჩვენთან სხვადასხვა დროს სტუმრობდნენ ელცინი, შევარდნაძე, პოპოვი, სტანკევიჩი. ისინი რას იტყვიან, ხომ არ მოტყდებიან?

ისინი არ გატყდნენ...

მინესოტას მიხეილ სერგეევიჩ გორბაჩოვიც სტუმრობდა. 1990 წლის გაზაფხულ-ზაფხულის "გორბიმანიით" შეპყრობილი ამერიკისთვისაც მიღებამ, რომელიც საბჭოთა კავშირის პრეზიდენტს მოუწყვეს ამ შტატში, დაჩრდილა ყველა სხვა. აქ მოსკოვის პუტჩმა "გორბიმანიის" ახალი ტალღა ააგორა. ეს აშკარად იგრძნობოდა ტელევიზიასა და რადიოში შეკითხვებისა და პასუხების დროს. როდესაც მე "ვბედავდი" და ვაკრიტიკებდი პრეზიდენტს მისი კადრების შერჩევის ახლომხედველობის, პრივატიზაციის და დემოკრატიზაციის კურსის გატარების გადაუწყვეტელობის, მისი "სოციალისტური არჩევანის" თავგანწირული დაცვის გამო, აუდიტორია აშკარად უარყოფითად რეაგირებდა, თუმც ძირითადად იზიარებდა ჩემს აზრს.

ერთხელ ჩემი და მონდეილის დილის რადიოდუეტი სტუდიიდან გადატანილ იქნა სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე, რომელიც იმ დღეებში გაიხსნა მინეაპოლისში. ჩვენ მოგვათავსეს რაღაც აკვარიუმის მსგავსში. შუშის კედლის მეორე მხარეს უამრავი ხალხი იყო შეკრებილი. დღე მხოლოდ იწყებოდა და აუდიტორია ძირითადად გამოფენის მონაწილეებისა და მათი ცოლებისა და შვილებისგან შედგებოდა. ჩვენ მორიგეობით ვპასუხობდით რადიომსმენელებსა და დამსწრეებს. პირველები პოლიტიკურ შეკითხვებს სვამდნენ, მეორენი - პრაქტიკულს: როგორ დახმარებოდნენ ჩვენს გლეხებს? როგორ დახმარებოდნენ ჩვენს ქვეყანას, რომ გადაეტანა 1991 წლის ზამთარი? ვის, სად და როგორ გაეგზავნათ ფული, კვების პროდუქტები, პირველადი მოხმარების საგნები?

წამყვანმა წაიკითხა ვაშინგტონიდან მიღებული დეპეშა: წარმომადგენლობითი პალატის შეიარაღებული ძალების საქმეების კომიტეტის თავმჯდომარე, ლეს ასპინი შემოვიდა წინადადებით, რომ საბჭოთა კავშირისთვის ერთი მილიარდი დოლარის დახმარება გაეწიათ, რომელიც პენტაგონის ახალი ბიუჯეტიდან იქნებოდა "გამოყოფილი".

- ვინ არის თანახმა, აწიეთ ხელები! - მივმართე მე ჩვენ რადიოაკვარიუმს გარშემორტყმულ ხალხს. პასუხად აღიმართა ხელების ტყე.

- ვინ არის წინააღმდეგი?

წინააღმდეგი მხოლოდ სამი ადამიანი იყო.

ერთსაათიანი შეკითხვებისა და პასუხების შემდეგ მე და მონდეილი დიდხანს დავხეტიალობდით გამოფენაზე. მონდეილი მინესოტას შტატის ყველაზე ცნობილი შვილია. იგი იყო სენატორი, ქვეყნის ვიცე-პრეზიდენტი, კენჭს იყრიდა პრეზიდენტობაზე. აქ მას ყველა იცნობს. მაგრამ იმ დღეს ფერმერები უტევდნენ არა მას, არამედ მე. იგი უაღრესად ბედნიერი იყო და ამაყობდა თავისი თანამემამულეებით.

მონდეილი, რომელიც ხელს ართმევდა ფერმერებს, ეხვეოდა მათ ცოლებს, კოცნიდა ბავშვებს, აქაც არ ივიწყებდა შემდგომ არჩევნებს; მე კი ვფიქრობდი იმაზე, რომ თურმე როგორ "ადვილია" ამოძირკვო ანტიკომუნიზმი და ანტისოვეტიზმი. ამისათვის კი საჭიროა "მხოლოდ" კომუნისტურ ტოტალიტარიზმის დიქტატურას მოუღო ბოლო და მსოფლიოს აჩვენო ჩვეულებრივი ადამიანური სახე.

გარდა ჩვეულებრივი სასოფლო-სამეურნეო პავილიონებისა - მიწათმოქმედების, მეცხოველეობის, სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობის და ა.შ., გამოფენაზე იყო ორი "პოლიტიკური პავილიონი. იქ არავითარი პროდუქცია არ იყო ექსპონირებული. იქ, როგორც პლაკატებზე ეწერა, "საბჭოთა დემოკრატიის მხარდასაჭერი" ხელმოწერები გროვდებოდა. ხალხი მიდიოდა და ხელს აწერდა ბლანკებზე, რომელზედაც გამოსახული იყო ნამგალი და ურო და გორბაჩოვისა და ელცინის პორტრეტები.

- იცით, რომ ახლა ნამგალი და ურო ამოჭრილია სახელმწიფო დროშებიდან? - ვკითხე მე ერთ-ერთ ფერმერს.

- ნამგალი და ურო არ არის დამნაშავე, ისინი შრომის იარაღებია და არა წამების, - მიპასუხა მან.

მე უკვე ვთქვი, რომ გამოფენაზე ორი "პოლიტიკური" პავილიონი იყო. ერთი ეკუთვნოდა დემოკრატიული პარტიის ადგილობრივ განყოფილებას, მეორე კი - რესპუბლიკურს.

- ამ საკითხზე ჩვენ ორპარტიულ პოლიტიკას ვატარებთ, - ღიმილით მითხრა მონდეილმა.

"ეს საკითხი" ჩვენი გაჩენის პირას მყოფი დემოკრატია იყო. მონდეილი იღიმებოდა, მაგრამ არ ხუმრობდა.

ჩვენ ჯერ დემოკრატების პავილიონში მივედით, მერე კი რესპუბლიკელების.

- ჩემს მეხსიერებაში პირველად მოხდა, როდესაც მისტერ მონდეილმა ფეხი შეადგა მტრულ ტერიტორიაზე, - მითხრა რესპუბლიკელმა აქტივისტმა ქალმა - და ამის მიზეზი ხართ თქვენ და თქვენი ქვეყანა...

მინეაპოლისში, როგორც მთელ აშშ-ში, ბატონობს სამი ტელეკომპანია - ეი-ბი-სი, ენ-ბი-სი და სი-ბი-ესი. აქ ისინი შესაბამისად მე-5 მე-4 და მე-11 არხებია. ტელევიზიის დაუწერელი კანონების თანახმად, თუ ერთ-ერთ არხზე გამოხვალ, შენ გზას იჭრი დანარჩენ ორ კონკურენტულ არხზე.

პუტჩის და მის განადგურების დღეებში "მგლური კონკურენციის" კანონები გაიყინა. ზოგჯერ მე გამოვდიოდი ყველა სამ არხზე ერთდროულად, ახალი ამბების საღამოს 5-საათის გამოშვებაშიც და ღამის 10 საათისაშიც - ერთში ცოცხალ ეთერში, სხვებში ჩასაწერად. ჩემი "ცნობადობის" რეიტინგი უსაზღვროდ გაიზარდა. მე მაჩერებდნენ ქუჩებში, უნივერსიტეტის აუდიტორიებში, მაღაზიებში, მოკლედ ყველგან. კითხვა-პასუხის საათი თითქმის 24-საათიანი გახდა. ჩემმა მეზობლებმა აღმოსავლეთ ფრანკლინ ავენიუს № 2425-დან, მოაწყვეს ჩემი ქვეყნის დემოკრატიული ძალების მხარდასაჭერი სპეციალური მიტინგი. მთავარი ორატორები ვიყავით მე და ჩემი ამერიკელი კოლეგა, რომელიც რაღაც ხანი მუშაობდა მოსკოვში, საიდანაც ის გამოასახლეს, რამდენიმე საათი ყოფილ ძერჟინსკის მოედანზე მდებარე სახლში გატარების შემდეგ.

ისე დაემთხვა, რომ ზუსტად პუტჩის დაწყების დღეს ჩემი ოჯახი ვაშინგტონიდან მოსკოვში გაფრინდა. მე გადავწყვიტე, რომ არ ღირდა გარისკვა და მათ ვთხოვე დაბრუნებულიყვნენ მინეაპოლისში. არა, მე არ მეშინოდა, რომ ისინი ორმხრივი სროლის ან ტანკების ქვეშ მოხვდებოდნენ. მე არ მინდოდა, რომ პუტჩისტების ტყვეები გამრავლებულიყვნენ.

ოჯახის ჩამოსვლის დრო ემთხვეოდა ჩემს გამოსვლას მე-11 არხზე. მე დავრეკე სტუდიაში და უარი ვუთხარი გამოსვლაზე. როდესაც გაიგეს უარის მიზეზი, ტელევიზიის ჟურნალისტებმა გაიხარეს. ისინი ჩემთან ერთად წამოვიდნენ აეროპორტში, გადაიღეს შეხვედრის სიუჟეტი და მოგვეხმარნენ ტვირთის აღებასა და ტრანსპორტირებაში. მეორე დღეს ჩემი შვილიშვილის "ცნობადობის" რეიტინგიც გაიზარდა...

პირველად აშშ-ში 1959 წელს ჩავედი, როდესაც ნიუ იორკში გაიხსნა საბჭოთა კავშირის ნაციონალური გამოფენა, ხრუშჩოვის ეპოქის საბჭოთა-ამერიკული ურთიერთობების დათბობის პირველი მერცხალი. მე ვმუშაობდი აშშ-ში "ცივი ომის" ყველაზე რთულ წლებშიც და ე.წ. "განმუხტვის" წლებშიც. ვმუშაობდი "გარდაქმნის" წლებშიც. მაგრამ არაფერი ამის მსგავსი, რაც 91-ში ხდებოდა, მე არც მინახავს და მით უმეტეს არ განმიცდია. ამერიკელების გუნება-განწყობაში ნამდვილი გადატრიალება ხდებოდა. განსაკუთრებით მინესოტაში. შეიძლება, ეს ჩემი სუბიექტური შეგრძნებაა, რადგანაც ამ ისტორიულ კვირას მე სწორედ აქ ვიყავი. და რაც უფრო მეტს ვფიქრობ ამ ფენომენზე, მით უფრო მეტად მივდივარ დასკვნამდე, რომ გადატრიალებამ მოსკოვში განიცადა კრახი იმის გამოც, და ეს არცთუ უკანასკნელი მიზეზი იყო, რომ გადატრიალება მინესოტაში წარმატებული გამოდგა.

**P.S.** მკითხველი დაინტერესდება, გამოქვეყნდა თუ არა "გადატრიალება მინესოტაში" მაშინ "იზვესტიაში". არა, არ ყოფილა, თუმც იმ დღეებში გაზეთში ცკ სკკპ-ს მიერ დანიშნული მთავარი რედაქტორი, "დემოკრატების" დანიშნულმა შეცვალა. მაგრამ ეს უკვე სხვა ისტორიაა. თუმც, არცთუ მთლად სხვა...

---

*პაულო კოელიოს სვეტი*

# ურთიერთობების შესახებ



### მეასე სახელი

(სუფის ტრადიცია)

შეგირდმა სუფიის მოძღვარს სთხოვა, ღმერთის მეხუთე სახელი გაენდო მისთვის.

"ვინც ეგ სახელი იცის, მას ისტორიის შეცვლაც ძალუძს", - უპასუხა მოძღვარმა, მერე კი სთხოვა, მთელი დღე ქალაქის კარიბჭესთან გაეტარებინა სტუდენტს.

მეორე დღეს ბიჭი კვლავ დაბრუნდა მაესტროსთან.

"აბა, რა ნახე?" - დაინტერესდა პედაგოგი.

ბიჭმა უპასუხა:

"გუშინ ქალაქში შემოსვლას ერთი მოხუცი კაცი ცდილობდა. ცხვრის გაყიდვა უნდოდა. დაცვამ კი ბეგარის გადახდა მოსთხოვა. მოხუცს ფული არ ჰქონდა. განრისხებულმა დაცვამ ცხვარი წაართვა და მოხუცი გააგდო. მე ვიფიქრე: ახლა რომ ღმერთის დაფარული სახელი ვიცოდე, ხომ შევძლებდი ამ სიტუაციის შეცვლას".

მოხუცმა უსმინა და მერე თქვა:

"შენ ისედაც შეგეძლო ამ უსამართლობის გამოსწორება, მაგრამ გაჩერება, გულხელდაკრეფილი დგომა და ჩასადენ სიკეთეზე ოცნება არჩიე. რა სულელურად მოქცეულხარ! მაშ კარგი, გეტყვი ღმერთის დაფარულ სახელს: "იმოქმედე სხვათა ნაცვლად. ეს ერთადერთი გზაა ისტორიის შესაცვლელად".

### შენი შეურაცხყოფა აზრადაც არ მქონია

(ისლამისტური ტრადიცია)

მექაში მოსალოცად წასულმა ერთმა წმინდა კაცმა ღმერთის ყოფნა სულ ახლოს იგრძნო. შუა ტრანსში იყო, როცა მუხლებზე დაეცა, სახე ხელებში ჩარგო და ლოცვას მოჰყვა: "ღმერთო, ერთადერთ რამეს გთხოვ ცხოვრებაში: მომეცი ძალა, არასდროს შეურაცხვყო".

"ამ წყალობას ვერ გიბოძებ", - მიუგო უზენაესმა, - "თუ მე არაფრით განმარისხებ, მაშინ არც საბაბი მომეცემა იმისთვის, რომ რაიმე გაპატიო. და თუ შეწყალების აუცილებლობას ვერ იგრძნობ, მალე თავადაც დაგავიწყდება, რომ ხანდახან შენც უნდა მიუტევო სხვებს. ასე რომ, გირჩევ, იარე სიყვარულით და მომეცი შენი შეწყალების ნება, რათა არასდროს დაივიწყო ეს უზენაესი ჭეშმარიტება და შენც შეძლო სხვების შეწყალება".

### შეგირდები და მასწავლებლები

(სუფის ტრადიცია)

სუფის ლეგენდების მუდმივი გმირი, ნასრუდინი კარის ზღურბლზე იდგა, როცა დაინახა, თუ როგორ მიდიოდა მასწავლებელი ქუჩაში თავის შეგირდებთან ერთად.

"საით გაგიწევიათ?" - დაინტერესედა.

"სალოცავად მივდივართ. ღმერთს უნდა შევევედროთ, რათა მექრთამეობის დამარცხებაში დაგვეხმაროს. უფალი ხომ ყოველთვის შეისმენს ხოლმე პატარების ლოცვას", - უპასუხა მოძღვარმა.

ნასრუდინმა კი უთხრა: "ეჰ, კარგი განათლების მიცემა რომ შეგვეძლოს ახალი თაობისთვის, მექრთამეობა უკვე აღარ იარსებებდა. ასწავლე მათ პასუხისმგებლობის შესახებ, რათა მშობლებზე უფრო დიდი გულისყურით და მონდომებით მიუდგნენ საქმეს, რათა უფრო პირნათლად აკეთონ ყველაფერი".

მასწავლებელმა თავი შეურაცხყოფილად იგრძნო: "რა შესანიშნავი მაგალითი ბრძანდებით ურწმუნოების! როგორ არ გესმით, რომ ბავშვების ლოცვას ყველაფრის შეცვლა შეუძლია!"

"ღმერთი ყველას ვედრებას ისმენს. თვითონ განსაჯეთ, ის რომ მხოლოდ პატარებს უსრულებდეს ლოცვებს, მთელ ქვეყანაში ერთი სკოლაც აღარ დაგვრჩებოდა - ბავშვებს ხომ თავიანთ მასწავლებლებზე მეტად არაფერი სძულთ".

### გზად მევიოლინე შემხვდა

(ჰასიდების ტრადიცია)

შეგირდი მივიდა რაბინ მოშე ჰაიმთან და უთხრა: "დღეს ერთი კაცი შემხვდა, რომელმაც მასხრად ამიგდო იმის გამო, რომ ვუთხარი, სულიერ წყალობას ვეძებ-მეთქი".

რაბინმა უპასუხა: "მე კი დღეს მევიოლინე შემხვდა. ისეთი ღვთიური შთაგონებით სავსე უკრავდა, რომ გარშემო უამრავი მსმენელი შეიკრიბა, ყველა ცეკვავდა და მღეროდა. მეც იქვე ვიდექი და აღელვებული ვადევნებდი თვალს ამ საოცარ სანახაობას. მოულოდნელად ერთი ყრუ კაცი შევნიშნე. ის შორიახლო დადგა და იქიდან უყურებდა საერთო მხიარულებას. ბოლოს ხმამაღლა შესძახა: - ეს რა ვულგარული და გროტესკული ფერხული მოუწყვიათ ამ გიჟებს".

რაბინმა დაასკვნა: "მან, ვინც არ იცის, თუ როგორ უსმინოს ღვთიურ ჰანგებს, აუცილებლად მიიჩნევს, რომ უფლის მოსმენა საჭირო არც არის".

***ქართულად გამოცემულია პაულო კოელიოს საერთაშორისო ბესტსელერები: "თერთმეტი წუთი", "ალქიმიკოსი", "რიო-პიედრას ნაპირას ჩამოვჯექი და ავტირდი" და "ვერონიკამ სიკვდილი გადაწყვიტა". იკითხეთ წიგნის მაღაზიებში.***

# მეტიჩარადან ლა სკალამდე

## მეცო-სოპრანო მომავალ წლამდე გვემშვიდობება

სოფო კილასონია

ორი დღის წინ კინოს სახლი ოპერისა და კინოს მოყვარულებს ერთად მასპინძლობდა. შეკრების მიზეზი ნინო სურგულაძის წარმატებული შემოქმედება აღმოჩნდა. დაახლოებით 20 წლის წინ მან კინოსტუდიის კარი შეაღო და ქართულ კინოსამყაროს დიდი ხნით შეაყვარა თავი. გენო წულაიას და ნელი ნენოვას ფილმი "მეტიჩარა" მისი ტრამპლინი გახლდათ. აქედან დაიწყო ნინოს სამუდამო სიყვარული ხელოვნებისადმი.

**"ჩვენს საღამოს სათაური აქვს "მეტიჩარადან ლა სკალამდე", თუმცა, იმდენად დიდი მანძილია მათ შორის, რომ არც კი ვიცი, საიდან დავიწყო. გასახსენებელი ბევრია. რომ არა ეს ფილმი, რომ არა ქალბატონი ნელი და ბატონი გენო, არ იქნებოდა არც "მეტიჩარა" და არც მე ვიქნებოდი ხელოვნებაში",** - ასე დაიწყო ნინო სურგულაძის მოგონებები იმ დღეს. გასახსენებელი და სათქმელი მართლაც ბევრი ჰქონია. პირველი ფილმი და პირველი წარმატება. მერე ლანა ღოღობერიძის "ვალსი პეჩორაზე", საესტრადო მოღვაწეობა და მშობლების დაჟინებული სურვილი, მათ ქალიშვილს აკადემიური მუსიკალური განათლება მიეღო. ამიტომ სულ მალე ახალგაზრდა მომღერალი თავის პედაგოგს ქალბატონ გულიკო კარიაულს შეხვდა და მათი ერთობლივი შემოქმედებაც დაიწყო და, სხვათა შორის, დღემდე გრძელდება. საოპერო ხელოვნების სიყვარულს ნინოსთან მისვლა ცოტა დაჰგვიანებია, თუმცა, დღეს ისინი განუყოფელნი არიან. დებიუტი ლა სკალას სცენაზე - ეს იოლი არ ყოფილა, თუმცა, ყველაზე რთული მაინც დებიუტამდე იყო. მისთვის სრულიად უცხო სამყაროში და დიდი კონკურენციის ფონზე... "მაგრამ მიზანს აუცილებლად უნდა მიაღწიო" - ამბობს ნინო სურგულაძე, ადამიანი, რომელმაც, შეიძლება ითქვას, ამ ეტაპზე ყველა მიზანს მიაღწია. წინ კიდევ მრავალი გეგმა და სურვილია.


ვახო ხაინდრავას ფოტო

ნინო სურგულაძე

კინოს სახლში ქართველი მეცო-სოპრანოს ახლობლებმა და თაყვანისმცემლებმა სასიამოვნო მოგონებებისა და საუბრის შემდეგ წასვლა არ იჩქარეს. დარბაზის პატარა ეკრანზე ჯერ სურგულაძის ევროპულ საოპერო კონცერტებს გადაავლეს თვალი, შემდეგ კი ძველი მეგობრის "მეტიჩარას" გახსენება გადაწყვიტეს. საკმაოდ გვიან დასრულებული საღამო ისევ ნინოსთან საუბრით და მილოცვებით დასრულდა, ჩვენ კი ღონისძიების ორგანიზატორი და მთავარი მასპინძელი კინომცოდნე დალი ოქროპირიძე გაგვესაუბრა: "ჩვენთან ძალიან ცოტაა ისეთი შემოქმედი, ვინც ბავშვობაში დაწყებულ წარმატებულ კარიერას ნაყოფიერად აგრძელებს. ერთ-ერთი მათგანი ნინო სურგულაძეა. ამიტომაც გადავწყვიტე ამ საღამოს ორგანიზება. ეს არის პირველი საღამო, რომელიც ნინო სურგულაძის შემოქმედებას მიეძღვნა. მხარში მედგა კინემატოგრაფისტთა კავშირი. მადლობას ვუხდი ბატონ არჩილ შუბაშვილს და ყველა იმ ადამიანს, ვინც მონაწილეობა მიიღო ამ საღამოში. ეს ყველაფერი არ იქნებოდა, რომ არ ყოფილიყო ბანკ "რესპუბლიკას" ფინანსური მხარდაჭერა. ნინო იმ იშვიათ ხელოვანთა რიცხვს მიეკუთვნება, რომელთანაც სულიერება და შემოქმედება დიდ, საოცარ სინთეზშია ერთმანეთთან. ამიტომაც გამოვიდა დღევანდელი დღე ასეთი თბილი და სასიამოვნო." ქალბატონი დალი უახლოეს მომავალში კიდევ არაერთი პროექტის განხორციელებასა და იდეის ხორცშესხმას აპირებს. რაც შეეხება ნინო სურგულაძეს, როგორც მასთან საუბარში შევიტყვე, მას ვერც წელს მოვუსმენთ და ვიხილავთ თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის სცენაზე. ამის მიზეზად მომღერალი უბრალოდ გადატვირთულ რეჟიმს ასახელებს. როგორც ჩანს, სამშობლოში გამოსვლა მისთვის დიდი პასუხისმგებლობაა და სანამ ეს მოხდება, კიდევ ბევრი აქვს გასაკეთებელი როგორც რეპერტუარის გამდიდრების, ისე გამოცდილების შეძენის თვალსაზრისით. თბილისელი მსმენელი ჯერ კიდევ დიდი ხნის წინანდელი ნაცნობი სახის "მეტიჩარას" სულ სხვა ამპლუაში, საოპერო სპექტაკლში ხილვას ინტერესით ელის, თუმცა, დაინტერესებული საზოგადოება მომავალ წლამდეც ენთუზიაზმით დაიცდის.







# აბიტურიენტო!

### კავკასიის უნივერსიტეტმა (კავკასიის ბიზნესის სკოლა /CSB/)

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს გადაწყვეტილებით მიიღო 96 ადგილი და უფლება I კურსზე ჩარიცხოს ეროვნული გამოცდების შედეგად სახელმწიფო გრანტის ან ვაუჩერის მქონე აბიტურიენტი.

**გთხოვთ, ინფორმაციის მისაღებად მოგვმართოთ:**
**მის: კოსტავას 77, VI კორპუსი, IV სართული**
**ტელ: 941 691, 313 225**
**E-mail: info@csb.ge**
**საკონტაქტო პირი: მაკა ციბაძე**

# TV5-ის პროგრამა

### 1 სექტემბერი

06.00, 08.00, 10.00, 12.00, 15.00, 16.00, 18.00. 20.00, 24.00, 02.10(შვეიცარია) 02.40(აფრიკა) 04.00 საინფორმაციო გადაცემები. 11.00, 19.00, 22.00,საინფორმაციო გამოშვებები. 07.00 ბეჟარი, თქვენ თქვით ბეჟარი? დოკ. ფილმი. 08.30 ტელედილა. 09.55 ფრანგული ამერიკა. 10.25 ტელეტურიზმი. 11.05 საოჯახო ფოტო-ალბომი. 13.45 ციხე-სიმაგრეების ისტორია. ლორენის რეგიონი. 15.30 ინდოეთის დღიური დოკ. Fფილმი. 17.50 ეს არ არის მთავარი. ბელგიელები კვებეკში. 18.30 ტელეთამაში. კითხვები ჩემპიონისთვის. 23.00 პოსტ კოლონიური აფრიკა ევროპაში. გადაცემა: დინების საწინააღმდეგოდ. 24.25 მამაჩემი ინჟინერია. მხ. ფილმი.

# უფროსკლასელთა საყურადღებოდ!

### კავკასიის უნივერსიტეტი (კავკასიის ბიზნესის სკოლა /csb/)

აცხადებს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების X-XI კლასელთა მიღებას მოსამზადებელ განყოფილებაზე, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის პროფილით.

საბუთების მიღება წარმოებს 5-დან 25 სექტემბრამდე.

**გთხოვთ, ინფორმაციის მისაღებად მოგვმართოთ:**

**მის: კოსტავას 77, VI კორპ., IV სართ.**
**ტელ: 941-691 , მობ. (899) 925-098**
**საკონტაქტო პირი: ქეთი ქორქია**

PSP
ფარმაცევტული კომპანია „პე-ეს-პე"
პსპ

- ფარმაცევტული კომპანია "პე-ეს-პე" აცხადებს 50 წლამდე, უმაღლესი ფარმაცევტული განათლებისა და გამოცდილების მქონე პირების მიღებას სააფთიაქო ქსელში ფარმაცევტის პოზიციაზე.
- კანდიდატების შერჩევა ჩატარდება 2 ეტაპად.
- აუცილებელია ქართული ენის სრულყოფილად და რუსული ენის თავისუფლად ცოდნა.
- განაცხადები მიიღება 6 სექტემბრამდე.

დაინტერესებულმა პირებმა გთხოვთ შეავსოთ განაცხადი ჩვენს ოფისში შემდეგ მისამართზე: აღმაშენებლის გამზ. 148/III
თან უნდა იქონიოთ ერთი ფოტოსურათი და განათლების დამადასტურებელი დიპლომისა და სერთიფიკატის ასლები




შენ სწავლობ სკოლაში და ხარ 11 ან 12 წლის ?
ხარ ჭკვიანი და გამოირჩევი სწრაფი აზროვნებით?
არ გეშინია გამოხატო შენი ინტელექტუალური შესაძლებლობები?
მაშინ, შენ შეგიძლია გახდე გადაცემა "ყველაზე ჭკვიანის" მონაწილე !

ამისათვის საჭიროა:

შეავსო ანკეტის ფორმა მშობელთან ერთად.

მოგვაწოდო ინფორმაცია შენს შესახებ, იმ შემთხვევაშიც კი თუ საქართველოს ყველაზე შორეულ კუთხეში ცხოვრობ.

ჩვენ ვეძებთ ყველაზე ჭკვიან ბავშვებს !

მონაწილის ანკეტა (შეავსე ყველა გრაფა)

სახელი, გვარი, მამის სახელი ------------------------------

მისამართი ------------------------------

საკონტაქტო ტელეფონის ნომრები ------------------------------

დაბადების თარიღი ------------------------------

სკოლა ------------------------------

კლასი ------------------------------

დამატებითი საკონტაქტო ტელეფონის ნომრები ------------------------------

მშობლის ან მეურვის სახელი, გვარი ------------------------------

მშობლის ან მეურვის ხელმოწერა ------------------------------

ყურადღება: კონკურსანტი ბავშვის ასაკი არ უნდა იყოს 2005 წლის 1 სექტემბრისათვის 11 წელზე ნაკლები და არ უნდა აღემატებოდეს 12-ს. ანკეტა გამოაგზავნეთ მხოლოდ ერთ ეგზემპლარად.

ანკეტა გამოგვიგზავნეთ ფოსტით ან მოგვიტანეთ მისამართზე: სამაუწყებლო კომპანია "რუსთავი 2", ვაჟა ფშაველას 45, 300077 თბილისი

ბ ლ ა ნ კ ი   უ ფ ა ს ო ა

